



# საქართველოს საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევი 2020

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია

თბილისი, საქართველო

2015

## სარჩევი

---

შემოკლებები და აკრონიმები.....	2
საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევის შემუშავების მეთოდოლოგია .....	4
საჯარო მმართველობის რეფორმის სტრატეგიული ჩარჩო.....	5
საჯარო მმართველობის რეფორმის სფეროები.....	7
1. პოლიტიკის შემუშავება და კოორდინაცია .....	7
2. ადამიანური რესურსების მართვა .....	13
3. ანგარიშვალდებულება.....	19
4. სახელმწიფო სერვისების მიწოდება .....	27
5. საჯარო ფინანსების მართვა .....	32
6. ადგილობრივი თვითმმართველობა.....	35
დაფინანსების წყაროები და ფინანსური გაანგარიშების მეთოდოლოგია.....	41
მართვისა და კოორდინაციის მექანიზმი.....	43
მონიტორინგის, ანგარიშგების და შეფასების სისტემა .....	<b>Error! Bookmark not defined.</b>
დანართები .....	47
სამოქმედო გეგმა 2015-2016.....	62

## შემოკლებები და აკრონიმები

FMC	ფინანსური მართვა და კონტროლი
G2G services	მთავრობათაშორისი ურთიერთობები
G2B services	მთავრობასა და ბიზნეს სექტორს შორის ურთიერთობები
HRM	ადამიანური რესურსების მართვა
IPSAS	საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები
OECD	ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია
OGP	ღია მმართველობის პარტნიორობა
PAR	საჯარო მმართველობის რეფორმა
PFM	საჯარო ფინანსების მართვა
SIGMA	OECD-ის მმართველობისა და მენეჯმენტის ხელშეწყობის პროგრამა

## შესავალი

სწორი და ეფექტური სახელმწიფო მართვა ხელს უწყობს და აძლიერებს დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობას. საზოგადოების ნდობა პოლიტიკური სისტემის მიმართ ზრდის მთავრობის ლეგიტიმურობას, როდესაც მმართველობა ზოგადად, და კერძოდ კი სახელმწიფო მომსახურების მიწოდება არის ეფექტური, საჯარო პირები მოქალაქეებისთვის არიან ხელმისაწვდომნი, სამთავრობო უწყებები და დეპარტამენტები მუშაობენ ერთობლივად, კოორდინირებული და თანმიმდევრული გზით. არანაკლებ მნიშვნელოვანია „მართვის უნარი“, რათა მოხდეს სწორი გადაწყვეტილებების მიღება პოლიტიკისა და პროგრამების დაგეგმვის პროცესში, დასახული მიზნების მისაღწევად, და, ასევე, შესაძლებელი იყოს მოსალოდნელი ტენდენციებისა და გამოწვევების პროგნოზირება.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად, ახალი მთავრობის ფორმირების შემდეგ, საზოგადოების მოთხოვნების შესაბამისად, მთავრობამ აიღო ვალდებულება ქვეყანაში ფართომასშტაბიანი ცვლილებების განსახორციელებლად, ყოვლისმომცველი რეფორმების გასატარებლად და აღნიშნული ასახა ახალ სამთავრობო პროგრამაში, სახელწოდებით „ძლიერი, დემოკრატიული და ერთიანი საქართველოსთვის“.<sup>1</sup> მთავრობის დაპირება და მზაობა საჯარო მმართველობის რეფორმირებისათვის გაწერილია სამთავრობო პროგრამაში; გამჭირვალე და ღია მმართველობის ჩამოყალიბება ასახულია ამ დოკუმენტის ისეთ ძირითადად მიმართულებებში, როგორებიცაა ევროინტეგრაცია, სასამართლო სისტემის რეფორმა, მდგრადი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელება, კანონმდებლობის გაუმჯობესება. საჯარო ფინანსების მართვის რეფორმა განიხილება, როგორც ფისკალური დისციპლინის პრიორიტეტი; უფრო მეტიც, სამთავრობო პროგრამის თანახმად, საჯარო სამსახურის რეფორმა განიხილება როგორც ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საფუძველი.

„საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმება“,<sup>2</sup> რომელსაც ხელი მოეწერა საქართველოს მთავრობის მიერ 2014 წლის ივნისში და რატიფიცირებულ იქნა პარლამენტის მიერ 2014 წლის ივლისში, მიზნად ისახავს საქართველოსა და ევროკავშირს შორის პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებას. ასოცირების შესახებ შეთანხმება ადგენს, რომ მთავრობა განახორციელებს სიღრმისეულ რეფორმებს მთელ რიგ ძირითად სფეროებში, რაც ხელს შეუწყობს ევროინტეგრაციის პროცესს. ასოცირების შესახებ შეთანხმების პრეამბულა ადგენს:

„[...] სურთ რა, წვლილი შეიტანონ საქართველოს პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და ინსტიტუციური განვითარების პროცესში, საერთო ინტერესთა სფეროების ფართო სპექტრში მრავალი მიმართულებით თანამშრომლობის გზით, როგორცაა სამოქალაქო საზოგადოების განვითარება, კარგი

<sup>1</sup>სამთავრობო პროგრამა: „ძლიერი, დემოკრატიული, ერთიანი საქართველოსთვის“. (2015 წლის 7 მაისი). საქართველოს მთავრობა: [www.gov.ge: http://gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=68&info\\_id=48840](http://gov.ge: http://gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=68&info_id=48840)

<sup>2</sup>საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმება. (ივლისი 2014). საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში: <http://eu-nato.gov.ge/en/eu/association-agreement>

მმართველობა, მათ შორის საგადასახადო სფეროში, სავაჭრო ინტეგრაცია და გაღრმავებული ეკონომიკური თანამშრომლობა, ინსტიტუციური განვითარება, საჯარო მმართველობისა და საჯარო სამსახურის რეფორმა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა, სიღარიბის შემცირება და თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სფეროში თანამშრომლობა, რაც აუცილებელია წინამდებარე შეთანხმების ეფექტური განხორციელებისათვის და აღნიშნავენ რა ევროკავშირის მზადყოფნას, ხელი შეუწყოს საქართველოში შესაბამისი რეფორმების განხორციელებას [...]"

ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად, პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას დაევალა საჯარო მმართველობის რეფორმის კოორდინაცია, რომელიც ხორციელდება ევროკავშირისა და OECD/SIGMA-ს მხარდაჭერით;<sup>3</sup> დემოკრატიული ღირებულებები, მოქალაქეთა ჩართულობა და საზოგადოებრივი ინტერესების მომსახურება, განისაზღვრა საჯარო მმართველობის რეფორმის ქვაკუთხედად. „საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევის“ შემუშავებით ჩამოყალიბდა აღნიშნულ სფეროებში საქართველოს მთავრობის საშუალო ვადიანი პოლიტიკა.

### საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევის შემუშავების მეთოდოლოგია

წინამდებარე დოკუმენტი ეფუძნება OECD/SIGMA-ს მიერ ჩამოყალიბებულ საჯარო მმართველობის რეფორმის პრინციპებს<sup>4</sup>. პრიორიტეტების გამოვლენის მიზნით, პირველადი ანალიზი ჩატარდა კითხვარის გამოყენებით. კითხვარი შემუშავდა OECD/SIGMA-ს ექსპერტებთან თანამშრომლობით, რაც მიზნად ისახავდა ძირითადი სამინისტროებიდან ინფორმაციის შეგროვებას და თითოეულ სფეროსთან მიმართებაში მთავარი საკითხების იდენტიფიცირებას. საჯარო მმართველობის სტრატეგიული ჩარჩოს განსაზღვრის მიზნით დამატებით შესწავლილ იქნა როგორც შესაბამისი კანონმდებლობა, ასევე, უკვე არსებული სტრატეგიები, რომლებიც საჯარო მმართველობის სფეროებს ეხება. შესაბამისად მათი სამოქმედო გეგმებით განსაზღვრული აქტივობები ინტეგრირებულ იქნა წინამდებარე გზამკვლევის სამოქმედო გეგმაში.

რამდენადაც საჯარო მმართველობის რეფორმა წარმოადგენს ჰორიზონტალურ და მულტისექტორულ პოლიტიკას და მისი განხორციელება დამოკიდებულია მთლიანად აღმასრულებელი ხელისუფლების, გადაწყვეტილების მიმღები და მაღალი რანგის სახელმწიფო პირების ჩართულობაზე, შესაბამისად, გზამკვლევის შემუშავება წარიმართა თანამშრომლობის გზით, სადაც ძირითადი უწყებები - ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საჯარო სამსახურის ბიურო და

<sup>3</sup> „საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის დებულება“, რომელიც დამტკიცდა 2014 წლის 19 ნოემბერს საქართველოს მთავრობის №626 დადგენილებით, სხვა ამოცანებთან ერთად, განსაზღვრავს, რომ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია პასუხისმგებელია შეიმუშავოს რეფორმები საჯარო მმართველობის სფეროში და წარუდგინოს მათი განხორციელების სტრატეგიები საქართველოს პრემიერ-მინისტრს.

<sup>4</sup> The Principles of Public Administration, (ნოემბერი 2014). OECD/SIGMA:  
<http://www.sigmaxweb.org/publications/Principles-Public-Administration-Nov2014.pdf>

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი - მთავრობის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობით, ორ დონეზე მუშაობდნენ. პირველ სამუშაო ჯგუფს, რომელიც განიხილავდა და ათანხმებდა სტრატეგიული დონის საკითხებს, ხელმძღვანელობდა მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი და მასში ჩართულნი იყვნენ შერჩეული სამინისტროების მინისტრის მოადგილეები. მეორე სამუშაო ჯგუფს, რომელიც უშუალოდ გზამკვლევის პროექტის შექმნაზე მუშაობდა, ხელმძღვანელობდა მთავრობის ადმინისტრაციის სამთავრობო გეგმებისა და ინოვაციების სამსახურის უფროსი და მასში ჩართულნი იყვნენ შესაბამისი სამინისტროების საჯარო მოსამსახურეები.

ზემოთ აღწერილ მეთოდოლოგიაზე დაფუძნებით, წინამდებარე გზამკვლევი წარმოადგენს ყოვლისმომცველ ხედვას საჯარო მმართველობის რეფორმასთან დაკავშირებით და აქცენტს აკეთებს მკვეთრად გამოხატულ პრობლემებზე, რომელთა საფუძველზეც განისაზღვრა შესაბამისი ამოცანები და აქტივობები, რაც მიზნად ისახავს საქართველოს საჯარო მმართველობის გაუმჯობესებასა და მის დაახლოებას ევროპული მმართველობის სტანდარტებთან.

## საჯარო მმართველობის რეფორმის სტრატეგიული ჩარჩო

საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევის შემუშავება დაიწყო მისი მასშტაბის თაობაზე შეთანხმებით. ყველა თანხმდებოდა, რომ საჯარო მმართველობის რეფორმის ფარგლები უნდა დაფუძნებულიყო „ევროკომისიის 2014-2015 წლების გაფართოების სტრატეგიაში“ მოცემულ მიდგომას<sup>5</sup>. გადაწყდა, რომ საქართველოს კონტექსტის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანი და რელევანტური იქნებოდა, რომ რეფორმის ფარგლებში ასევე მოქცეულიყო ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხები.

საჯარო მმართველობის რეფორმის გეგმაზე მუშაობა არ დაწყებულა სუფთა ფურცლიდან, ვინაიდან საქართველოს მთავრობას, ზემოთ აღნიშნულ პოლიტიკის სფეროებთან დაკავშირებით, მუშაობა უკვე დაწყებული ჰქონდა. კერძოდ, შემუშავებული იყო შემდეგი დოკუმენტები: „საჯარო სამსახურის რეფორმის კონცეფცია“<sup>6</sup>, დამტკიცებული საქართველოს მთავრობის დადგენილებით №627 2014 წლის 19 ნოემბერს; „საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის სტრატეგია 2014-2017“<sup>7</sup>, „ელექტრონული მმართველობის სტრატეგია 2014-2018“<sup>8</sup>,

<sup>5</sup> ევროპის კომისია. (10 აგვისტო 2014). COMMUNICATION FROM THE COMMISSION TO THE EUROPEAN PARLIAMENT, THE COUNCIL, THE EUROPEAN ECONOMIC AND SOCIAL COMMITTEE AND THE COMMITTEE OF THE REGIONS: [http://ec.europa.eu/enlargement/pdf/key\\_documents/2014/20141008-strategy-paper\\_en.pdf](http://ec.europa.eu/enlargement/pdf/key_documents/2014/20141008-strategy-paper_en.pdf)

<sup>6</sup> საჯარო სამსახური კონცეფცია, (19 ნოემბერი 2014). საჯარო სამსახურის ბიურო: <http://csb.gov.ge/uploads/matsne-2582972.pdf>


<sup>7</sup> საქართველოს საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის სტრატეგია 2014-2017 (სამუშაო დოკუმენტი) (2014). საქართველოს ფინანსთა სამინისტრო: [http://www.mof.ge/images/File/strategia/2014-2017\\_strategiis\\_document.pdf](http://www.mof.ge/images/File/strategia/2014-2017_strategiis_document.pdf)

<sup>8</sup> ციფრული საქართველო, ელ საქართველოს სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2014-2017. (2014). მონაცემთა გაცვლის სააგენტო: [http://www.dea.gov.ge/uploads/eGeorgia%20Strategy%20FINAL%20Geo\\_.doc](http://www.dea.gov.ge/uploads/eGeorgia%20Strategy%20FINAL%20Geo_.doc)

„ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგია“<sup>9</sup> და 2015-2016 წლების ეროვნული ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმა დამტკიცებული საქართველოს მთავრობის დადგენილებით №170 2015 წლის 20 აპრილს და „ღია მმართველობა საქართველოს სამოქმედო გეგმა 2014-2015, დამტკიცებული საქართველოს მთავრობის დადგენილებით №557 2014 წლის სექტემბერში“<sup>10</sup>.

თუმცა, ამ დრომდე სახელმწიფოს მიერ გატარებული ინტერვენციები იყო არათანმიმდევრული და აკლდა სისტემური მიდგომა. **დანართი 1** წარმოადგენს შესაბამისი დაგეგმვის დოკუმენტების სადემონსტრაციო ცხრილს სახელმწიფო მმართველობის ძირითადი სფეროების მიხედვით; მასში მოცემულია დოკუმენტების ანოტაცია და ასევე, შესრულებაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებები.

წინამდებარე დოკუმენტი, „საქართველოს საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევი“ მიზნად ისახავს ყოვლისმომცველი კონცეპტუალური ჩარჩოსა და მექანიზმების შექმნას 2020 წლამდე, რომელიც მიმართული იქნება გამჭვირვალე, პროგნოზირებადი, პასუხისმგებელი და ეფექტური სახელმწიფო მართვისკენ, დააკმაყოფილებს საზოგადოების მოთხოვნებს და იქნება ევროპულ სტანდარტებთან მისადაგებული.



ამდენად, „საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევი 2020“ წარმოადგენს „ქოლგა“ დოკუმენტს, რომელიც აერთიანებს სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა სფეროებს, იმისთვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას ერთიანი და კოორდინირებული მიდგომა.

<sup>9</sup> საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2015-2016. (2015). საკანონმდებლო მაცნე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2818704>

<sup>10</sup> ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმა. (18 სექტემბერი 2018). საკანონმდებლო მაცნე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2510377>

შესაბამისად, დოკუმენტის ფარგლებში მოექცა ის აქტივობები, რომელთა განხორციელება განსაზღვრულია სხვადასხვა საჯარო უწყებების სტრატეგიული დოკუმენტებით.

მოცემულ კონტექსტში, წინამდებარე დოკუმენტი ადგენს საჯარო მმართველობის რეფორმის მიზნებს, ამოცანებს, მოსალოდნელ შედეგებს, მართვისა და მონიტორინგის მექანიზმებს. მას ახლავს დეტალური სამოქმედო გეგმა 2015-2016 წლებისათვის. სამოქმედო გეგმაში გაწერილია დასახული ამოცანების გადაჭრისთვის საჭირო აქტივობები. საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევის სამოქმედო გეგმის განხორციელების შუალედური შეფასების შემდეგ, რომელიც 2016 წლის პირველი ვადის დასასრულისთვის განხორციელდება, ახალი სამოქმედო გეგმა შემუშავდება 2017-2020 წლებისათვის.

## საჯარო მმართველობის რეფორმის სფეროები

### 1. პოლიტიკის შემუშავება და კოორდინაცია

#### მიზანი

აღნიშნული კომპონენტის მთავარ მიზანს წარმოადგენს პოლიტიკის დაგეგმვის სისტემის განვითარება, შედეგზე ორიენტირებული მართვის, ანგარიშგების, მონიტორინგისა და შეფასების სისტემების ჩამოყალიბება და მთავრობის საქმიანობის კოორდინაციის გაუმჯობესება.

წინამდებარე თავში მიმოხილულია პოლიტიკის დაგეგმვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობა, დაგეგმვის დოკუმენტების სახეები და მათი ხარისხობრივი მაჩვენებლები, პოლიტიკის დაგეგმვის ინსტიტუციური შესაძლებლობები, ქვეყანაში მოქმედი ანგარიშგების, მონიტორინგისა და შეფასების სისტემები; შესაბამისი სფეროების ანალიზის საფუძველზე გამოკვეთილია პრობლემები, რომელთა საფუძველზე მოცემულია მათი გადაჭრის ამოცანები და აქტივობები.

#### ბოლოდროინდელი ცვლილებები

2013 წელს OECD/SIGMA-მ განხორციელა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის (ყოფილი საქართველოს მთავრობის კანცელარია) სტრუქტურული და ფუნქციური მიმოხილვა საქართველოს საკონსტიტუციო რეფორმის კონტექსტში, რომელიც ითვალისწინებდა პრეზიდენტის უფლებამოსილების გადაცემას პრემიერ-მინისტრისა და მთავრობისათვის. მოსალოდნელი იყო, რომ რეფორმა გავლენას იქონიებდა კანცელარიის როლსა და, ზოგადად, მთავრობის მუშაობაზე.

რეკომენდირებულ იქნა, შექმნილიყო პოლიტიკის ანალიზისა და სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტი, რომელიც პასუხისმგებელი იქნებოდა მთავრობის სამუშაო პროცესის დაგეგმვასა და მონიტორინგზე, მათ შორის, მთავრობის პრიორიტეტების ანალიზზე და, ასევე, უზრუნველყოფდა მთავრობის საქმიანობის კოორდინაციას მულტისექტორულ საკითხებთან დაკავშირებით.



ეს რეკომენდაცია გათვალისწინებულ იქნა და მთავრობის ადმინისტრაციაში ჩამოყალიბდა პოლიტიკის ანალიზის, სტრატეგიული დაგეგმვისა და კოორდინაციის დეპარტამენტი. შესაბამისად აღნიშნული ინსტიტუციური ცვლილება აისახა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ახალ დებულებაში, რომელიც დამტკიცდა 2014 წლის 19 ნოემბერს, საქართველოს მთავრობის № 626 დადგენილებით.<sup>11</sup>

წინამდებარე კომპონენტი - პოლიტიკის დაგეგმვა და კოორდინაცია - ცალკე სტრატეგიულ დოკუმენტად შემუშავდა მთავრობის ადმინისტრაციის მიერ.<sup>12</sup>

### **არსებული სიტუაციის ანალიზი**

პოლიტიკის დაგეგმვის სისტემა საქართველოში არ არის მკაფიოდ განსაზღვრული რომელიმე სამართლებრივი აქტით, შესაბამისად, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ განახორციელა არსებული ვითარების სიღრმისეული ანალიზი; შესწავლილ იქნა სამართლებრივი ჩარჩო, მართვის, მონიტორინგისა და შეფასების არსებული პრაქტიკა და 2013–2014 წლებში საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული დაგეგმვის დოკუმენტები.

### **გამოვლენილი პრობლემები**

არსებული ვითარების ანალიზის საფუძველზე, პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის კუთხით, გამოვლინდა შემდეგი ძირითადი პრობლემები:

#### **1.1 გაუმართავი საკანონმდებლო ბაზა**

საქართველოს კანონმდებლობა განსაზღვრავს გარკვეული, სავალდებულო ხასიათის, პოლიტიკის დაგეგმვის დოკუმენტების შემუშავებას. აღნიშნულის მიუხედავად, იგი არ ითვალისწინებს სისტემურ და თანმიმდევრულ მუშაობას პოლიტიკის შემუშავების კუთხით და შესაბამისად, სახეზეა შემდეგი პრობლემები: 1. არ არსებობს რეგულაცია, რომელიც განსაზღვრავდა პოლიტიკის შემუშავების ყველა სფეროსა და ეტაპს, როგორცაა არსებული სიტუაციის ანალიზი, დაგეგმვა, ანგარიშგება, მონიტორინგი და შეფასება; 2. არ არსებობს მკაფიო მითითება, სხვადასხვა დაგეგმვის ინსტრუმენტებს შორის კავშირის უზრუნველყოფის შესახებ, როგორცაა მათი იერარქიული მიმართება ან ურთიერთკავშირი.

#### **1.2 პოლიტიკის დაგეგმვის ერთიანი სისტემისა და მეთოდური მითითებების ნაკლებობა**

ვინაიდან არ არსებობს რეგულაცია, რომელიც დაადგენდა, პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების მეთოდოლოგიას ან განახლების პერიოდულობას, სამინისტროების მიერ შემუშავებული სექტორული სტრატეგიები არათანმიმდევრულია. მათი სტრუქტურა და მეთოდოლოგია ხშირად განპირობებულია შესაბამისი სამინისტროს სპეციფიკით და გამოცდილებით. დოკუმენტის დაგეგმვის სტრუქტურა და მეთოდი, თუ როგორ ხდება

<sup>11</sup> საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის დებულება. (19 ნოემბერი 2014). საკანონმდებლო მაცნე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2593593>

<sup>12</sup> პოლიტიკის დაგეგმვის სისტემის რეფორმის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2015-2016. (2015). (სამუშაო დოკუმენტი) საქართველოს მთავრობა: [http://gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=423&info\\_id=49306](http://gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=423&info_id=49306)

ინფორმაციის წარმოდგენა, ნაწილობრივ შეესაბამება დაგეგმვის დოკუმენტების საერთაშორისოდ მიღებულ მიდგომებს. გარდა ამისა, არ არის შემუშავებული სახელმძღვანელო საჯარო დაწესებულებებისთვის, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავს პოლიტიკის დაგეგმვის ციკლს (ანალიზი, დაგეგმვა, ანგარიშგება, მონიტორინგი, შეფასება), სავალდებულო დოკუმენტების ნუსხას და მათი შემუშავების მეთოდოლოგიას.

სტრატეგიულ დოკუმენტებში ამოცანების აღწერილობა უმეტეს შემთხვევაში, ვერ ასახავს იმას თუ რის მიღწევას გეგმავს დაწესებულება; სტრატეგიების მხოლოდ შეზღუდული რაოდენობა წარმოადგენს შესრულების ინდიკატორებს და მასთან ერთად თანდართულ სამოქმედო გეგმას. შესწავლილი 39 დოკუმენტიდან, მხოლოდ 5 შეიცავდა შესრულების ინდიკატორებს. აღნიშნულის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სტრატეგიის შემუშავების პრაქტიკა საჯარო დაწესებულებებში მოკლებულია თანამიმდევრულობასა და მდგრადობას. უფრო მეტიც, სტრატეგიები არ ითვალისწინებს ბიუჯეტის განსაზღვრას პოლიტიკის განხორციელებისთვის.

### **1.3 პოლიტიკის დაგეგმვასა და კანონმდებლობის შემუშავებას შორის სუსტი კავშირი**

საქართველოში მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ის, რომ მოქმედი კანონმდებლობა ხშირად არ შეესაბამება მთავრობის ამა თუ იმ პრიორიტეტის ან სამინისტროების მიერ შემუშავებული სტრატეგიის ამოცანებს. 21 შესწავლილი სტრატეგიიდან მხოლოდ შვიდი შეიცავს მითითებას შესაბამის საკანონმდებლო ჩარჩოზე, თუმცა აღნიშნულ დოკუმენტებშიც მხოლოდ ზოგადად არის მიმოხილული, რომ სექტორული კანონმდებლობა ნაკლოვანია და საჭიროება გაუმჯობესებას. ამასთან, არ არის მკაფიო მითითება რომელი ნორმატიული აქტში უნდა შევიდეს ცვლილებები. აქედან გამომდინარე, სტრატეგიებში არაფერია ნათქვამი სამართლებრივი ცვლილებების მოსალოდნელ შედეგებზე, ადმინისტრაციული ღონისძიებების საჭიროებაზე და განხორციელებასთან დაკავშირებულ ხარჯებზე.

პრობლემაა ასევე, ისიც რომ ხშირად კანონი არ შეესაბამება არსებულ ვითარებას ან კანონით განსაზღვრული დებულებები არ არის უზრუნველყოფილი შესაბამისი ადმინისტრაციული მექანიზმებით.

უფრო მეტიც, არ არსებობს მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო კანონშემოქმედებითი საქმიანობის შესახებ. გარდა ამისა, სამინისტროებში არ მიმდინარეობს სისტემატიური ტრენინგები იმ თანამშრომლებისთვის, რომლებიც ჩართულნი არიან კანონშემოქმედებით საქმიანობაში.

### **1.4 პოლიტიკის დაგეგმვასა და ბიუჯეტირების პროცესს შორის სუსტი კავშირი**

საქართველოში პოლიტიკის შემუშავება ხშირად დისტანცირებულია ბიუჯეტირების პროცესისგან. სამთავრობო პროგრამა, ისევე როგორც მოკლევადიანი დაგეგმვის დოკუმენტების 80% და საშუალო და გრძელვადიანი დაგეგმვის დოკუმენტების 30%, პირდაპირ არ უკავშირდება ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტს ან სახელმწიფო ბიუჯეტს; ისინი არ შეიცავენ აგრეთვე რაიმე ფინანსურ გათვლას.

**1.5 სუსტი ინსტიტუციური შესაძლებლობები პოლიტიკის შემუშავებისა და კოორდინაციისთვის**  
სამინისტროების ორგანიზაციული სტრუქტურა პოლიტიკის დაგეგმვის პროცესის ეფექტურ მართვას არ განაპირობებს. 19 სამინისტროდან 6 სამინისტროს არ გააჩნია ისეთი სტრუქტურული ერთეულია, რომელიც პასუხისმგებელი იქნება პოლიტიკის დაგეგმვაზე. 2013-2014 წლებში, მხოლოდ სამინისტროების შეზღუდულმა რაოდენობამ ჩაატარა თანამშრომელთა გადამზადების ტრენინგები და კვლავაც გეგმავენ თანამშრომელთა გადამზადებას.

### **1.6 მონიტორინგის, ანგარიშგებისა და შეფასების სუსტი სისტემები**

საქართველოში მთავრობის საქმიანობის მონიტორინგის, ანგარიშგებისა და შეფასების სისტემები არის მყიფე და ფრაგმენტული, რომელიც გამორიცხავს პოლიტიკის შედეგების სათანადო შეფასებას ამა თუ იმ სფეროში. არ არსებობს რეგულაცია, სექტორული სტრატეგიების შეფასებასთან და წინასწარ განსაზღვრული პრიორიტეტების და ამოცანების შესრულების მონიტორინგთან დაკავშირებით. რთულად არის შესაძლებელი მოხდეს იმ ფარგლების გაანალიზება, რომელიც პოლიტიკის ამოცანებმა დააკმაყოფილა.

### **ამოცანები**

არსებული სიტუაციის ანალიზისა და გამოკვეთილი პრობლემების საფუძველზე განისაზღვრა შემდეგი ამოცანები:

#### **1.1 პოლიტიკის დაგეგმვის სამართლებრივი ჩარჩოს გაუმჯობესება**

აუცილებელია შემუშავდეს პოლიტიკის დაგეგმვის სამართლებრივი ჩარჩო. რეგულაცია ნათლად უნდა განსაზღვრავდეს დაგეგმვის დოკუმენტების სახეებს, იერარქისა და მათ ურთიერთკავშირს, ასევე, დოკუმენტების შემუშავების ვადებსა და განახლების პერიოდულობას. აგრეთვე, გაწერილი უნდა იყოს დოკუმენტის შექმნასა და მონიტორინგზე პასუხისმგებელი უწყება.

რეკომენდებულია შესაბამისი ცვლილებები შევიდეს „მთავრობის რეგლამენტში“. ალტერნატივის სახით ასევე შესაძლებელია მომზადდეს სრულიად ახალი საკანონმდებლო აქტი, რომელშიც ასახული იქნება დაგეგმვის დოკუმენტების სახეები და მათი მომზადების წესი.

#### **1.2 პოლიტიკის დაგეგმვის ერთიანი სისტემისა და მეთოდური მითითებების შემუშავება**

უნდა შემუშავდეს პოლიტიკის დაგეგმვის სავალდებულო დოკუმენტების ნუსხა, მათი სტრუქტურა, მომზადებისა და დამტკიცების პროცედურები. გარდა ამისა, უნდა შეიქმნას მეთოდური მითითებები/სახელმძღვანელო, რათა დეტალურად გაიწეროს პოლიტიკის შემუშავების თითოეული ეტაპი - ანალიზი, დაგეგმვა, განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება, და დაგეგმვის დოკუმენტების სახეები და მათი შემუშავების მეთოდები.

#### **1.3 პოლიტიკის დაგეგმვისა და კანონშემოქმედებას შორის კავშირის უზრუნველყოფა**

აუცილებელია ცალკეული სექტორის პოლიტიკის შემუშავებისას შესწავლილ იქნას კონკრეტულ სფეროში მოქმედი კანონმდებლობა, მოხდეს იდენტიფიცირება იმ კანონებისა, რომლებშიც საჭიროა ცვლილებების ინიცირება, ასევე მოხდეს კანონით გამოწვეული შედეგების პროგნოზირება.

აუცილებელია დაინერგოს საკანონმდებლო ზეგავლენის შეფასების სისტემა (RIA), რათა მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი შესაძლო ნეგატიური გავლენა მოქალაქეებზე, ბიზნესზე, ვაჭრობასა და ინვესტიციებზე და პოლიტიკის შემუშავება პასუხობდეს ტექნოლოგიურ ცვლილებებსა და საერთაშორისო ბაზრის გამოწვევებს. საკანონმდებლო ზეგავლენის შეფასება უნდა გახდეს პოლიტიკის შემუშავებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესის შემადგენელი კომპონენტი. ამ მიზნით, მნიშვნელოვანია შემუშავდეს სახელმძღვანელო სამინისტროებისათვის.

#### **1.4 პოლიტიკის დაგეგმვისა და ბიუჯეტირების პროცესს შორის კავშირის უზრუნველყოფა**

ნებისმიერი პოლიტიკის წარმატებით განხორციელების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია ხარჯების სწორი გაანგარიშება და მათი ასახვა ბიუჯეტში. შესაბამისად, დაგეგმილია მთავრობის დადგენილების შემუშავება, რომელიც დაარეგულირებს პოლიტიკის დაგეგმვის დოკუმენტებში ხარჯების ასახვის საკითხს. პოლიტიკის დოკუმენტებისთვის ხარჯების გამოთვლა სპეციალური მეთოდის საფუძველზე მოხდება.

#### **1.5 პოლიტიკის დაგეგმვის პროცესის გაძლიერებისთვის ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება**

პოლიტიკის დაგეგმვის რეფორმის ეფექტური განხორციელების მიზნით აუცილებელია სამინისტროებში მკაფიოდ იყოს გაწერილი პოლიტიკის პროცესზე პასუხისმგებელი თანამშრომელთა ამოცანები და უფლება-მოვალეობები. მართალია, ამ ეტაპზე ყველა სამინისტროში არ არსებობს პოლიტიკის დაგეგმვაზე პასუხისმგებელი დეპარტამენტი, არ არის აუცილებელი დამატებითი სტრუქტურული ერთეულების შექმნა და ამით ბიუროკრატიის გაზრდა. არამედ მნიშვნელოვანია, რომ ისეთ სამინისტროებში, სადაც შესაძლოა ნათლად არ ჩანს ვინ აგებს პასუხს ამ მიმართულებით, ეს ფუნქცია-მოვალეობები გამოიკვეთოს.

ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ საჯარო სამსახურის ბიურო 2015 წლის მანძილზე განახორციელებს სამინისტროების ფუნქციურ ანალიზს, რომლის საფუძველზეც მომზადდება რეკომენდაციები ინსტიტუციური მოწყობის გაუმჯობესებისათვის. შესაბამისად, რეკომენდებულია, რომ სამინისტროებმა ამ ეტაპზე თავი შეიკავონ რეორგანიზაციისაგან და ნებისმიერი სტრუქტურული ცვლილება დაეყრდნოს ზემოთაღნიშნული ფუნქციური ანალიზის შედეგებს.

სამინისტროების შესაძლებლობების განვითარების მიზნით აუცილებელია დაიგეგმოს და განხორციელდეს ტრენინგების ციკლი ყველა სახელმწიფო უწყებისათვის. ტრენინგის მოდულები უნდა მოიცავდეს პოლიტიკის დაგეგმვის ყველა ეტაპს, დაგეგმვის დოკუმენტების შემუშავების მეთოდოლოგიას და პროცესის წარმართვის ინსტრუმენტებს.

## 1.6 მართვის, მონიტორინგის, ანგარიშგების და შეფასების ყოვლისმომცველი სისტემების შემუშავება

არსებული პრობლემებიდან გამომდინარე მონიტორინგისა და შეფასების სისტემების დანერგვა და მათი გახორციელება წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს. მთავრობის საქმიანობის უკეთ წარმართვისა და მონიტორინგის მიზნით უნდა დაინერგოს ახალი ელექტრონული სისტემები, რამაც ხელი უნდა შეუწყოს, რომ მთავრობის მუშაობა გახდეს უფრო ეფექტური, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებულებული საზოგადოების წინაშე და დაფუძნებული იყოს თანამონაწილეობის პრინციპზე.

აუცილებელია პოლიტიკის დაგეგმვის დოკუმენტების შეფასების კრიტერიუმების წინასწარი დადგენა, რაც უფრო ეფექტურს გახდის პოლიტიკის პროცესის წარმართვას და ამასთანავე, გაადვილებს მთავრობის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესს.

მთავრობის საქმიანობის დაგეგმვისა და მონიტორინგის ეფექტურად განხორციელებისთვის საჭიროა მთავრობის ადმინისტრაციაში არსებულმა სამთავრობო გეგმებისა და ინოვაციების სამსახურმა შეასრულოს ხარისხის კონტროლისა და მონიტორინგის ფუნქცია. გასათვალისწინებელია, რომ სწორედ ამ სამსახურის ერთ-ერთი ფუნქციაა მთავრობის პოლიტიკის სისტემის დაგეგმვის გაუმჯობესება და შესაბამისად მის მოვალეობებში უნდა შედიოდეს დაგეგმვის დოკუმენტების მუდმივი ანალიზი და შეფასება. სამსახურის მიერ გრძელვადიანი და მოკლევადიანი პოლიტიკის დაგეგმვის დოკუმენტების როგორც ex-ante, ასევე ex-post, შეფასების საფუძველზე მთავრობას მიეწოდება ინფორმაცია, რის შედეგადაც შესაძლებელი იქნება დაბრკოლებების მიზეზების დროულად განსაზღვრა და მათი გადაწყვეტა. სამსახურის მიერ მონიტორინგის ფუნქციის განხორციელება ხელს შეუწყობს სტრატეგიებითა და სამოქმედო გეგმებით განსაზღვრული აქტივობების დროულ შესრულებას. ex-post შეფასების განსახორციელებლად მნიშვნელოვანია დაინერგოს გარე შემფასებლების გამოყენება.

ახალ დაგეგმვის სისტემაში საზოგადოების ჩართულობა პოლიტიკის პროცესის მნიშვნელოვანი ელემენტი და მართვის ინსტრუმენტი უნდა გახდეს მთავრობის პოლიტიკის ეფექტური განხორციელებისთვის. მოქალაქეთა დემოკრატიულმა ჩართულობამ უნდა შექმნას პლატფორმა მნიშვნელოვანი დიალოგისათვის, რამაც მთავრობას უნდა მისცეს შესაძლებლობა მოქალაქეებს მიაწოდოს ინფორმაცია და ასევე, მიიღოს უკუგება მათგან მწირი რესურსების გამოყენებაზე სწორი არჩევანისა და პრიორიტეტების დასახვაზე. აღნიშნული პროცესი ასევე უზრუნველყოფს მოქალაქეების ჩართულობას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, სადაც მოქალაქეებს საკუთარი წვლილი შეაქვთ, და შესაბამისად, მთავრობის მიერ მათთან თანამშრომლობით მიღებული გადაწყვეტილებების მხარდამჭერები არიან.

### ძირითადი ინდიკატორები

- პოლიტიკის დაგეგმვის დოკუმენტები პასუხობს ახალ საკანონმდებლო რეგულაციებს;
- პოლიტიკის დაგეგმვის დოკუმენტები მომზადებულია ახალი სისტემის მიხედვით;
- პოლიტიკის დაგეგმვა და კანონმდებლობის შემუშავება სინქრონიზებულია;

- პოლიტიკის დაგეგმვის დოკუმენტებში ასახულია შესაბამისი ფინანსური ვალდებულებები;
- სამინისტროების ინსტიტუციური მოწყობა უზრუნველყოფს პოლიტიკის პროცესის წარმართვას;
- დანერგვით და მოქმედებს საკანონმდებლო და ადმინისტრაციული მექანიზმები მონიტორინგის, ანგარიშგებისა და შეფასებისათვის.

## 2 ადამიანური რესურსების მართვა

### მიზანი

რეფორმის მიზანია ეფექტური და ეფექტიანი საჯარო სამსახურის ჩამოყალიბება, რომელიც დამსახურების პრინციპზე იქნება დაფუძნებული და უზრუნველყოფს პროფესიონალიზმის წახალისებას, ხელშეწყობასა და დაფასებას.

### ბოლოდროინდელი ცვლილებები

2014 წელი მნიშვნელოვანი იყო საჯარო სექტორში ადამიანური რესურსების მართვის კუთხით, ვინაიდან შემუშავდა „საჯარო სამსახურის რეფორმის კონცეფცია“<sup>13</sup>, რომელიც მთავრობის 2014 წლის 19 ნოემბრის №627 დადგენილებით დამტკიცდა. აღნიშნული კონცეფცია ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებულ კომპლექსურ და მრავალგანზომილებიან პრობლემებს ეხება.

### არსებული სიტუაციის ანალიზი

2012 წლის სტატისტიკური მონაცემების შესაბამისად, ქვეყანაში დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 5% საჯარო სექტორზე მოდის, რაც ჯამში 86,030 ადამიანს წარმოადგენს; საიდანაც 46,073 არის საჯარო მოსამსახურე, ხოლო დანარჩენი - სხვადასხვა საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში დასაქმებულები. აღსანიშნავია, რომ თუ საქართველოში ყოველ 52 მოქალაქესთან თანაფარდობაში მოდის 1 საჯარო მოსამსახურე, ლატვიაში აღნიშნული მაჩვენებელია 119 მოქალაქეზე 1 საჯარო მოსამსახურე. ეს კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის ადამიანური რესურსების მართვის ეფექტური სისტემის დანერგვას. ამჟამად არსებობს 16 სამინისტრო, სახელმწიფო მინისტრის 3 აპარატი და 16 უწყება, რომლებიც მთავრობის ან უშუალოდ პრემიერ-მინისტრის დაქვემდებარებაშია. ამასთანავე, შექმნილია საკონსულტაციო ორგანოები, რომლებიც განიხილავენ კონკრეტულ საკითხებს, თუმცა მათი ზუსტი რაოდენობა უცნობია; ამჟამად მიმდინარეობს მათი ინვენტარიზაციის პროცესი.

არსებობს ინსტიტუციური და სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც მოიცავს ადამიანური რესურსების მართვას საჯარო სამსახურში. აღნიშნულ სფეროში წამყვან უწყებას წარმოადგენს **საჯარო სამსახურის ბიურო** (შემდგომში, **ბიურო**), რომელიც პასუხისმგებელია საჯარო სექტორში ადამიანური რესურსების პოლიტიკის შემუშავებასა და აღსრულებაზე. საჯარო

<sup>13</sup> საჯარო სამსახურის რეფორმის კონცეფცია (19 ნოემბერი 2014). საჯარო სამსახურის ბიურო:  
<http://csb.gov.ge/uploads/matsne-2582972.pdf>

სამსახურში დასაქმების მსურველთათვის არსებობს ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდი (hr.gov.ge). თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსება უზრუნველყოფილია ასევე ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის (declaration.gov.ge) მეშვეობით.

### **გამოვლენილი პრობლემები**

მიუხედავად უკანასკნელ წლებში განხორციელებული რამდენიმე პოზიტიური ცვლილებისა, რეფორმები ადამიანური რესურსის მართვის სფეროში კვლავ ფრაგმენტულია და მნიშვნელოვან გაუმჯობესებას საჭიროებს.

#### **2.1. საჯარო სამსახურის მეტისმეტად ფართო ცნება**

მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს **საჯარო სამსახურის ფარგლებზე** და საჯარო მოსამსახურის ცნების განმარტებაზე, რადგან „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში არსებული განმარტებები მეტად ბუნდოვანი და არასრულყოფილია. მაგალითად, საჯარო მოსამსახურედ ითვლება „პირი, რომელიც ინიშნება ან აირჩევა სახაზინო დაწესებულების საშტატო (შტატით გათვალისწინებულ) თანამდებობაზე.“ აგრეთვე საჯარო მოსამსახურის ცნების განმარტებაში მოცემულია მოსამსახურის საქმიანობის ადგილი და წესი, რაც არ შეიძლება ჩაითვალოს განმარტებად. ძირითადი ხარვეზები, რომელიც უკავშირდება საჯარო სამსახურის ფარგლებს, სწორედ კანონმდებლობის მსგავსი ხარვეზებით არის განპირობებული „**საჯარო სამსახურის შესახებ**“<sup>14</sup> საქართველოს კანონი, **პარლამენტის მიერ 1997 წელს იქნა მიღებული**. მას შემდეგ, აღნიშნულ კანონში შევიდა ბევრი ფრაგმენტული და არა სისტემური ხასიათის ცვლილება, რამაც გამოიწვია ის, რომ არ არსებობს მკაფიო განსხვავება სახელმწიფო მოსამსახურესა და საჯარო მოხელეს შორის, როდესაც უნდა განსხვავდებოდეს მათ მიმართ წაყენებული მოთხოვნები, უფლებები და მოვალეობები. ამჟამად, საჯარო სამსახურის ბიურო OECD/SIGMA-ს ექსპერტებთან ერთად უკვე მუშაობს საჯარო სამსახურის შესახებ ახალი კანონის პროექტზე.

#### **2.2. სამართლებრივი ჩარჩო არ უზრუნველყოფს ოპტიმალურ გადაწყვეტილებებს საჯარო სამსახურში ინსტიტუციური მოწყობისთვის**

ინსტიტუციური მოწყობის სფერომ, რომელიც უზრუნველყოფს საჯარო მმართველობის თანმიმდევრულ და ეფექტურ მუშაობას, ასევე განიცადა ნაწილობრივი ცვლილება. მკაფიო ინსტიტუციური მოწყობა, დაწესებულების ტიპის განსაზღვრა, წესები და მოვალეობები, დაქვემდებარება და ანგარიშვალდებულება, წარმოადგენს ერთ-ერთ წინაპირობას საჯარო მოსამსახურეთა კლასიფიკაციის სისტემის შესაქმნელად. ამჟამინდელი სისტემა მოძველებულია და მოითხოვს სიღრმისეულ განახლება-განხილვას.

<sup>14</sup> საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ (1997). საკანონმდებლო მაცნე:

[https://matsne.gov.ge/sites/default/files/files/sajaro\\_info/sajaro\\_samsaxuris\\_shesaxeb\\_kanoni.pdf](https://matsne.gov.ge/sites/default/files/files/sajaro_info/sajaro_samsaxuris_shesaxeb_kanoni.pdf)

### **2.3. დამსახურებაზე დაფუძნებული საჯარო სამსახურში მიღების სისტემისა და თანასწორი მოპყრობის სტანდარტების არარსებობა**

რეფორმის კონცეფციის შემუშავების შედეგად მოხდა იმ პრობლემების იდენტიფიცირება, რომელიც საჯარო სამსახურში დასაქმების მსურველთათვის დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების არ არსებობასთან არის დაკავშირებული. მაგალითად, იკვეთება წინააღმდეგობა დაწესებულების შინაგანაწესსა და საჯარო მოსამსახურეთა სამსახურიდან გათავისუფლების მარეგულირებელ ნორმებს შორის, ერთსა და იმავე უწყებაში ერთდროულად ორი თანამდებობის დაკავების შესაძლებლობა, ერთიანი სამუშაო აღწერილობების არარსებობა და საჯარო სამსახურში არსებულ ყველა ვაკანტურ თანამდებობაზე გარე კადრების დასაქმების შესაძლებლობის არსებობა.

აღნიშნული ხარვეზები აფერხებს კარიერულ პრინციპზე დაფუძნებული საჯარო სამსახურის ფორმირებას, რომელიც წარმოადგენს მთავარ კომპონენტს პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი ადამიანური რესურსების მართვის სისტემაში. ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემები ქმნის ნეპოტიზმისა და საჯარო მოხელეების მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას, რაც გამოიხატება სამსახურში აყვანის/სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ არასწორი გადაწყვეტილების მიღებაში. თუმცა ყველაზე მთავარ პრობლემად აღნიშნულ სფეროში კვლავ რჩება პროფესიონალი, კვალიფიციური და მოტივირებული კადრების მოზიდვა.

### **2.4. საჯარო სამსახური მიდრეკილია პოლიტიკური ზეგავლენისკენ**

ყველაზე მგრძობიარე და მნიშვნელოვან პრობლემას საჯარო სამსახურში ადამიანური რესურსების მართვისთვის წარმოადგენს საჯარო სამსახურის დაცვა პირდაპირი ან არაპირდაპირი პოლიტიკური ზეგავლენისგან მენეჯერულ პოზიციებზე. დამსახურებაზე დაფუძნებული, პროფესიული და ეფექტური საჯარო სამსახურის შენარჩუნებისათვის, არსებითია უზრუნველყოფით მისი დამოუკიდებლობა პოლიტიკური პროცესებისგან. ამჟამად, საჯარო სამსახური კვლავ მიდრეკილია პოლიტიკური ზეგავლენისკენ თითქმის მის ყველა დონეზე. აღნიშნული ნაწილობრივ დაკავშირებულია საჯარო მოხელეების დაცვის ეფექტური და კარგად ორგანიზებული მექანიზმის არ არსებობასთან. ამასთანავე, პოლიტიკური ზეგავლენის პრევენცია არ არის საკითხი, რომელსაც მხოლოდ ერთი გადაწყვეტა აქვს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საჯარო მოსამსახურეთა დასაქმების და სამსახურიდან გათავისუფლების საკითხი საჭიროებს დახვეწას, რათა მოხდეს მათი არაკეთილსინდისიერი ზეგავლენისგან დაცვა. სამთავრობო პროგრამა საჯარო მოსამსახურეთა დაცვას პოლიტიკური ზეგავლენისგან ერთ-ერთ პრიორიტეტად განსაზღვრავს. უნდა აღინიშნოს, რომ უმაღლესი საჯარო მოსამსახურეების თანამდებობები კვლავ არ არის სრულად ჩამოყალიბებული, რომელსაც მივყავართ გარემოებამდე, სადაც პოლიტიკური და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობები მაღალი დონის მართვისთვის, არ არის მკაფიოდ განსაზღვრული. **საჯარო სამსახურის რეფორმის კონცეფცია კონკრეტულად არ პასუხობს პოლიტიკური ზეგავლენის საკითხს;** შესაბამისად, გადამწყვეტია მთავრობის ძალისხმევა პრობლემებისა და გადაწყვეტილებების განსაზღვრის კუთხით.



## **2.5. ანაზღაურების სისტემა არ არის საკმარისად გამჭვირვალე და ადეკვატური**

ერთ-ერთი სიახლე აღნიშნული კუთხით არის საქართველოს მთავრობის მიერ 2014 წლის N449 დადგენილებით დამტკიცებული საჯარო დაწესებულებებში პრემიის ოდენობის განსაზღვრის წესი. ზოგადად, საჯარო სამსახურში შრომითი გასამრჯელო მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიასა და კანონით გათვალისწინებულ დანამატს. მთავარ პრობლემას წარმოადგენს როგორც ხელფასის, ისე პრემიების გამოთვლის მეთოდოლოგიისა და ცენტრალურ დონეზე ერთიანი კანონმდებლობის არ არსებობა, რომელიც უნდა არეგულირებდეს თანამდებობრივი სარგოს გაცემის საკითხებს. გარდა ამისა, ანაზღაურების სისტემა განსხვავდება საჯარო დაწესებულების მიხედვით და სხვადასხვა დაწესებულებებში ერთსა და იმავე თანამდებობებზე საჯარო მოსამსახურეებს სხვადასხვა ანაზღაურება აქვთ.

ამასთანავე, შრომითი ანაზღაურება არ არის დაკავშირებული საჯარო მოსამსახურეთა კლასიფიკაციასთან. უფრო მეტიც, მოქმედი ანაზღაურების სისტემა არის ძალიან ვიწრო, მაგალითად, იგი არ მოიცავს სოციალურ გარანტიებს. ასევე, არ არსებობს რეგულაცია, რომელიც განსაზღვრავდა კონკრეტულ პროცედურასა და საფუძვლებს პრემიის ან დანამატის მისაღებად. საჯარო სამსახურის რეფორმის კონცეფცია ხაზს უსვამს აღნიშნულ საკითხებს და წარმოადგენს კონკრეტულ წინადადებებს ანაზღაურების სისტემის რეფორმირებისთვის.

## **2.6. საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული განვითარება და შესრულებული სამუშაოს მართვა არ არის საკმარისი**

საჯარო სამსახურის რეფორმის კონცეფცია იძლევა ასევე იმ საკითხების ვრცელ ანალიზს, რომელიც უკავშირდება მდგრადობას. კერძოდ კონცეფციის თანახმად, საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული განვითარება არის ფრაგმენტული ხასიათის და არ გააჩნია ერთიანი სისტემური მიდგომა. უფრო მეტიც, სამუშაოს შეფასება პრაქტიკულად არ ხორციელდება, თუ არ ჩავთვლით ცენტრალურ ხელისუფლებაში გამოყენებულ რამდენიმე საპილოტე ვერსიასა თუ ინდივიდუალურ ინიციატივას. იგივე პრობლემაა საჯარო მოსამსახურის მობილობასა და დაწინაურებასთან დაკავშირებით, რადგან არ არსებობს მკაფიოდ განსაზღვრული პროცედურული ჩარჩო, ისევე როგორც სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები. ამჟამად, არ არსებობს სპეციალური დაწესებულება, რომელიც სისტემურად უზრუნველყოფდა მოხელეთა გადამზადებას, მათ შორის იმ მოსამსახურეებისთვისაც, რომლებსაც ახალი დაწყებული აქვთ საჯარო სამსახური.

## **2.7. დისციპლინური პასუხისმგებლობისა და კორუფციის პრევენციისათვის მონიტორინგის არასრულყოფილი მექანიზმები**

კორუფციული სამართალდარღვევების პრევენციის მიზნით, თანამდებობის პირებს მოეთხოვებათ თავიანთი ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების წარდგენა წელიწადში ერთხელ, რომელიც ქვეყნდება საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია საზოგადოებისთვის. თუმცა, რაიმე მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგს ჯერჯერობით არ არსებობს. ამასთანავე, საკანონმდებლო რეგულაციები, რომელიც ეხება საჯარო მოხელეთა დისციპლინურ პასუხისმგებლობის საკითხს, არ არის საკმარისი. თუმცა აღსანიშნავია, რომ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოსა და ღია

მმართველობა საქართველოს პარტნიორობის ფარგლებში შეიქმნა აღნიშნულ საკითხზე მომუშავე ჯგუფი.

## **2.8. საჯარო სამსახურის ბიუროს შეზღუდული შესაძლებლობები განხორციელოს რეფორმა**

მნიშვნელოვანი საკითხია თავად საჯარო სამსახურის ბიუროს გაძლიერება. საჯარო სამსახურის რეფორმა აკისრებს ფართო ამოცანებსა და მოვალეობებს საჯარო სამსახურის ბიუროს, რომელიც არ არის გათვალისწინებული საჯარო სამსახურის ბიუროს წესდებით. თავისი ფუნქციებისა და დაკისრებული ვალდებულებების სრულყოფილი შესრულებისათვის აუცილებელია საჯარო სამსახურის ბიუროს ფუნქციების დაზუსტება, ფუნქციების შესაბამისი სტრუქტურის შემუშავება და ბიუროს დაკომპლექტება სათანადო პერსონალით.

### **ამოცანები**

#### **2.1. საჯარო სამსახურის ფარგლების განსაზღვრა და პრაქტიკული გამოყენება**

საჯარო სამსახურის რეფორმის კონცეფცია ვრცლად მიმოიხილავს აღნიშნულ ამოცანას და გვთავაზობს კონკრეტულ ქმედებებს მის შესასრულებლად. კერძოდ, საჯარო სამსახურის შესახებ ახალი კანონის შემუშავებას, სამუშაოს შესრულების შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრას, ტრენინგებს და სხვა.

#### **2.2. ინსტიტუციური მოწყობის ოპტიმალური გადაწყვეტის შეთავაზება**

უკვე განხორციელებული რეფორმების გათვალისწინებით, აღნიშნული სფეროს ამოცანას წარმოადგენს ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღება სახელმწიფო აპარატის ინსტიტუციურ მოწყობასთან დაკავშირებით. აღნიშნული განხორციელება 2015 წლის ბოლოს სახელმწიფო უწყებების ფუნქციების გადახედვის საფუძველზე. ფუნქციური მიმოხილვა გულისხმობს სამინისტროებისა და სახელმწიფო უწყებების სიღრმისეულ ანალიზს, ასევე რეკომენდაციების შემუშავებას იმის თაობაზე თუ როგორ უნდა მოხდეს აღნიშნული ინსტიტუტების რეფორმირება.

საჯარო სამსახურის რეფორმის კონცეფციის დამტკიცებასთან ერთად დადგენილება ავალდებულებს საჯარო დაწესებულებებს, მუნიციპალურ ინსტიტუტებსა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს განხორციელონ თავიანთი ორგანიზაციების ფუნქციური ანალიზი 2015 წლის ბოლოსთვის, ხოლო საჯარო სამსახურის ბიურო აღნიშნულზე პასუხისმგებელ უწყებად განისაზღვრა. შედეგად, საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ უნდა შემუშავდეს დასკვნები და წინადადებები ინსტიტუციური მოწყობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.

#### **2.3. არსებული კანონმდებლობის დამსახურებაზე დაფუძნებული და თანასწორი მოპყრობის პრინციპების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა**

ადამიანური რესურსების მართვის ერთ-ერთი მთავარი მიზანია საჯარო სამსახურში დასაქმების მარეგულირებელი სისტემის დახვეწა, რომელიც უზრუნველყოფს კანდიდატების შერჩევას დამსახურების, თანაბარი შესაძლებლობების მიცემის, სამსახურში აყვანის გამართულად სტრუქტურირებული პროცედურების, კვალიფიციური კანდიდატების შერჩევისა და საჯარო მოსამსახურეთა სამსახურიდან გათავისუფლების ნათელი და სამართლებრივად

დასაბუთებული პროცედურების მიხედვით, რომელიც სამართლიანია როგორც დამსაქმებლისთვის, ისე დასაქმებულისთვის. საჯარო სამსახურში დასაქმების საკითხები გათვალისწინებულია საჯარო სამსახურის რეფორმისა და მართვის კონცეფციებით, ასევე OGP-ს 2015 წლის სამოქმედო გეგმით. აქედან გამომდინარე, ზემოაღნიშნული დოკუმენტები წარმოადგენენ „საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევისა“ და მისი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების საფუძველს.

#### **2.4. საჯარო სამსახურში წამყვან მენეჯერულ პოზიციებზე პოლიტიკური ზეგავლენის გაანალიზება და აღნიშნულის პრევენციის მიზნით ერთიანი გადაწყვეტის შეთავაზება**

მოცემულ სფეროში მთავარ ამოცანას წარმოადგენს იმის ანალიზი თუ რამდენად აქვს საჯარო სამსახურში მენეჯერულ პოზიციებზე პოლიტიკურ ზეგავლენას ადგილი და შესაბამისად გადაწყვეტის წარდგენა აღნიშნული პრობლემის პრევენციის მიზნით.

#### **2.5. საჯარო მოსამსახურეთა შრომითი ანაზღაურების სისტემის გაუმჯობესება არსებული მდგომარეობის უფრო დეტალური ანალიზის საფუძველზე, გამჭვირვალე და სამართლიანი მოდელის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს საჯარო სამსახურში პროფესიონალი კადრების შენარჩუნებას, მოზიდვასა და მოტივირებას**

გამოვლენილ პრობლემასთან დაკავშირებული ყველა ფაქტორის გათვალისწინებით, შრომითი ანაზღაურების სისტემის რეფორმირება უნდა მოხდეს არსებული ვითარების უფრო დეტალური გაანალიზების შედეგად. აქედან გამომდინარე უნდა შეიქმნას ლოგიკური, გამჭვირვალე და სამართლიანი მოდელი, რომელიც უზრუნველყოფს საჯარო სამსახურში პროფესიონალი კადრების შენარჩუნებას, მოზიდვასა და მოტივირებას. ამისათვის უნდა შემუშავდეს კლასიფიკაციის წესები და მოხდეს ცენტრალურ უწყებებში თანამდებობების რანგირება. გარდა ამისა, აუცილებელია შემუშავდეს კრიტერიუმები საჯარო სამსახურში ანაზღაურების ახალი სისტემის დასაწესებლად.

#### **2.6. საჯარო სამსახურში სტაბილური გარემოს შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივ პროფესიულ განვითარებას**

საჯარო სამსახურის და მისი პრინციპების მდგრადობა წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე კომპლექსურ და ფართო საკითხს საჯარო მმართველობის სფეროში ადამიანური რესურსების მართვის კუთხით. მდგრადობის განმსაზღვრელი ძირითადი კომპონენტებია: საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარება, შესრულებული სამუშაოს შეფასების მექანიზმების არსებობა, საჯარო მოხელეთა მობილობა და მათი სამართლიანი დაწინაურება. აღნიშნულთან დაკავშირებით შემუშავდება მექანიზმები, რომელიც განსაზღვრავს სწავლებისა და განვითარების საჭიროებებსა და მიმართულებებს, შეიქმნება სამოქმედო გეგმა საჯარო სამსახურში სწავლების სისტემის დანერგვის მიზნით, გაიწერება რეგულაციები ტრენერთა აკრედიტაციის პროცესებთან დაკავშირებით, შეიქმნება სასწავლო ორგანიზაციები, შემუშავდება სასწავლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და ჩამოყალიბდება საჯარო მოსამსახურეთა სამუშაოს შესრულების შეფასების თანამედროვე სისტემა.

**2.7. საჯარო მოსამსახურეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის მექანიზმის დახვეწა და მონიტორინგის სისტემის დანერგვა საჯარო სამსახურში კორუფციის პრევენციის მიზნით**  
გამოვლენილი პრობლემების საპასუხოდ და კორუფციის რისკების იდენტიფიცირების მიზნით აუცილებელია შეიქმნას საჯარო მოხელეთა ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგის სისტემა. ასევე, აუცილებელია დაიხვეწოს კანონმდებლობა საჯარო მოხელეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის წესების გამჭვირვალობის გაუმჯობესების მიზნით, გაიზარდოს საზოგადოების ინფორმირებულობის დონე მამხილებლის ინსტიტუტთან დაკავშირებით და გაიწეროს საჯარო სამსახურში ეთიკისა და ქცევის წესები. გარდა ამისა, საჯარო მოსამსახურეთა გადამზადების მიზნით შეიქმნება სასწავლო მოდულები საჯარო სამსახურში ეთიკის, ინტერესთა კონფლიქტისა და საქმიანობის შეუთავსებლობის საკითხებთან დაკავშირებით.

## **2.8. საჯარო სამსახურის ბიუროს გაძლიერება**

საჭიროა საჯარო სამსახურის ბიუროს შესაძლებლობების ზრდა, კერძოდ ბიუროს უნდა გააჩნდეს შესაბამისი უფლებამოსილება უხელმძღვანელოს და ზედამხედველობა გაუწიოს რეფორმის განხორციელების პროცესს, ასევე მოახდინოს საჯარო სამსახურის სფეროში მოქმედი კანონმდებლობის აღსრულების მონიტორინგი. საჯარო სამსახურის ბიუროს რეფორმირება გაზრდის ეფექტურობას საჯარო სამსახურის სფეროში. აღნიშნულთან დაკავშირებით შემუშავდება ახალი დებულება, რომელიც განსაზღვრავს დამატებით ფუნქციებსა და უფლებამოსილებას. ასევე, მოხდება ბიუროს თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება.

## **ძირითადი ინდიკატორები**

- ცენტრალურ საჯარო უწყებებში იმ ვაკანტური პოზიციების პროცენტული მაჩვენებელი, რომლების შევსებაც მოხდება ღია და შიდა კონკურსის საფუძველზე;
- ცენტრალურ საჯარო უწყებებში მაღალი თანამდებობის პირების ვაკანტური პოზიციების პროცენტული მაჩვენებელი, რომლების შევსებაც მოხდება ღია კონკურსის საფუძველზე;
- საჯარო მოხელეების სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის დანერგვა პრაქტიკაში.

## **3. ანგარიშვალდებულება**

### **მიზანი**

აღნიშნულ სფეროში რეფორმის მიზანს წარმოადგენს სახელმწიფო ინსტიტუტების კეთილსინდისიერებისა და მთავრობისადმი საზოგადოების ნდობის გაზრდა, კორუფციის პრევენცია, მთავრობის ეფექტურობის, გამჭვირვალობისა და ღიაობის გაზრდა, მისი ხელმისაწვდომობა და ანგარიშვალდებულება მოქალაქეთა წინაშე, ასევე მისი გაძლიერება მმართველობისთვის მნიშვნელოვანი უახლესი ტექნოლოგიების, ინოვაციებისა და თანამედროვე მიდგომების მეშვეობით.

## **ბოლოდროინდელი ცვლილებები**

2010 წელს ანტიკორუფციული საბჭოს მიერ შემუშავდა ანტიკორუფციული სტრატეგია და მისი განხორციელების 2010-2013 წლების სამოქმედო გეგმა. 2013 წლიდან კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათმორისმა საბჭომ (შემდგომში „ანტიკორუფციული საბჭო“) დაიწყო ახალი ანტიკორუფციული სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავება, კერძოდ, ანტიკორუფციული სტრატეგიის განახლება და ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავება (2015-2016). სტრატეგიის შემუშავების ყოვლისმომცველ და ინკლუზიურ პროცესს ხელმძღვანელობდა ცხრა თემატური ჯგუფი (რომელიც შეიქმნა შესაბამისი პრიორიტეტების მიხედვით), და რომელსაც თანათავმჯდომარეობდა ანტიკორუფციული საბჭოს მიერ დანიშნული შესაბამისი სამთავრობო უწყებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ანტიკორუფციული სტრატეგიის და 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმის გარდა ანტიკორუფციულმა საბჭომ შეიმუშავა ანტიკორუფციული სტრატეგიული დოკუმენტების შესრულების შეფასების მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია, რომელიც დამტკიცდა 2015 წლის 4 თებერვალს. მეთოდოლოგიის მთავარი მიზანია შეაფასოს სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის 13 პრიორიტეტულ მიმართულებაში განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელება, მოახდინოს მიღწეული შედეგების, სიძნელების და ხარვეზების იდენტიფიცირება.

2014 წლის დასაწყისში შეიქმნა **ღია მმართველობა საქართველოს ფორუმი** (შემდგომში - ფორუმი) - ღია მმართველობის პარტნიორობის (Open Government Partnership - OGP) საქართველოს ეროვნული საკოორდინაციო-საკონსულტაციო მექანიზმი, რომელიც შედგება სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პასუხისმგებელი უწყებების, სხვა დაინტერესებული საჯარო დაწესებულებების, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებისგან.

ფორუმის ძირითადი ამოცანებია:

- ეროვნულ დონეზე ღია მმართველობის საკითხებზე წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება, სამოქმედო გეგმის პროექტის მომზადების მონაწილეობითი პროცესის ხელშეწყობა, საჯარო კონსულტაციების დაგეგმვა და ჩატარება;
- სამოქმედო გეგმის შესრულების ხელშეწყობა და მონიტორინგი. შესაბამისი წინადადებების, რეკომენდაციების მომზადება და ღია მმართველობა საქართველოს სამდივნოსთვის წარდგენა;
- OGP-ის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმა საქართველოს მთავრობისა და არასამთავრობო ორგანიზაციათა ერთობლივი პროდუქტია. ფორუმმა აღნიშნულის შემუშავებას დაუთმო 2 გაფართოებული მრგვალი მაგიდა ფორუმის 4 გეგმური და 2 ad hoc სხდომა. გეგმის შემუშავებისას გაიმართა ინდივიდუალური შეხვედრები და ინტენსიური კონსულტაციები სამდივნოს, პასუხისმგებელ უწყებებსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის.

სამოქმედო გეგმის საბოლოო პროექტის განხილვა გაიმართა ფორუმის გაფართოებულ სხდომაზე 2014 წლის 6 ივნისს. აღნიშნულ სხდომაზე ფორუმი შეთანხმდა სამოქმედო გეგმის საბოლოო ვერსიაზე. **საქართველოს მთავრობამ ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმა 2014 წლის 18 სექტემბრის N557 დადგენილებით დაამტკიცა.**

სამოქმედო გეგმა 16 პასუხისმგებელი უწყების 27 ვალდებულებას აერთიანებს და OGP-ის 4 დიდ გამოწვევას პასუხობს, ესენია: საჯარო მომსახურების გაუმჯობესება, საჯარო სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლება, საჯარო რესურსების უკეთესი მართვა, უსაფრთხო გარემოს შექმნა.

OGP-ს 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შემდეგ, ღია მმართველობა საქართველოს სამდივნომ, OGP-ს რეგულაციებისა და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, შეიმუშავა სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის და შეფასების მეთოდოლოგია. გეგმის შესრულების მონიტორინგის და შეფასების მექანიზმი გულისხმობს პასუხისმგებელი უწყებების მიერ გეგმის შესრულების შესახებ სამდივნოსთვის როგორც წერილობითი ანგარიშის წარდგენას, ასევე მონიტორინგის ჩარჩოს გამოყენებით პროგრესის შესახებ განახლებული ინფორმაციის მიწოდებას კვარტალურად. სამდივნოს, როგორც ეროვნულ დონეზე მაკოორდინირებელი ორგანოს მიერ გეგმის შესრულების შეფასება ასევე მოიცავს 16 პასუხისმგებელ უწყებასთან ინდივიდუალურ შეხვედრებს.

ღია მმართველობა საქართველოს სამდივნომ მოამზადა და 2015 წლის ანტიკორუფციული საბჭოს სხდომაზე წარადგინა ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის საქმიანობის პირველი ყოველწლიური ანგარიში.

2014 წელს გაიმართა OGP-ს მმართველი კომიტეტის პირველი არჩევნები, რომელშიც პარტნიორობის წევრმა ქვეყნებმა საქართველო მმართველი კომიტეტის წევრად ორწლიანი ვადით აირჩიეს. მმართველ კომიტეტში საქართველოს მთავრობას იუსტიციის მინისტრი წარმოადგენს.

### **არსებული სიტუაციის ანალიზი**

ანგარიშვალდებულებასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარების მიზნით, საქართველოს მთავრობამ აირჩია სისტემური მიდგომა და თავისი ხედვა გააერთიანა პოლიტიკის სამ დოკუმენტში - „ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგია და მისი სამოქმედო გეგმა“, საქართველოს „ღია მმართველობის პარტნიორობის 2014-2015 წწ. სამოქმედო გეგმა“ და „ციფრული საქართველო: ელექტრონული საქართველოს სტრატეგია და სამოქმედო გეგმა“.

ანტიკორუფციული საბჭო კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში კოორდინაციისა და უწყებათაშორისი ურთიერთობის ძირითადი მექანიზმია, რომელიც პასუხისმგებელია ანტიკორუფციული პოლიტიკის შემუშავებასა და მის განხორციელებაზე საქართველოში. მისი ფუნქციები მოიცავს ანტიკორუფციული საქმიანობის კოორდინაციას, ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებას, სტრატეგიული დოკუმენტების პერიოდულ განახლებას და მათი განხორციელების ზედამხედველობას,

შესაბამისი რეკომენდაციების და წინადადებების შემუშავებას, საერთაშორისო რეკომენდაციების განხორციელების უზრუნველყოფასა და ანგარიშგებას.

2013 წელს ანტიკორუფციული ძალისხმევის და მთავრობის ახალი ამოცანების ერთიან და ყოვლისმომცველ სტრატეგიულ ჩარჩოში ინტეგრირების მიზნით, ანტიკორუფციულმა საბჭომ გადაწყვიტა განეახლებინა მოქმედი 2010 წელს მიღებული ანტიკორუფციული სტრატეგია და შეემუშავებინა **2015-2016 წლების ახალი სამოქმედო გეგმა**. განახლებული ანტიკორუფციული სტრატეგია და 2015-2016 წლების ახალი სამოქმედო გეგმა ანტიკორუფციულმა საბჭომ 2015 წლის 4 თებერვალს დაამტკიცა, ხოლო საქართველოს მთავრობამ - 2015 წლის 20 აპრილის №170 დადგენილებით.

იმისათვის, რომ სახელმწიფო მმართველობის რეფორმის დოკუმენტი და არსებული ვითარების აღწერა ყოვლისმომცველი ყოფილიყო, OGP-ს და ანტიკორუფციული სტრატეგიის დოკუმენტებთან ერთად, საქართველოში საჯარო უწყებების გამჭვირვალობის და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ანალიზი განხორციელდა.

საქართველოში ანგარიშვალდებულების საკითხთან დაკავშირებით არსებული მდგომარეობის შესაფასებლად აუცილებელია თითოეული მოთხოვნის შესწავლა, რომელსაც აღნიშნული პრინციპი მოიცავს. პირველი საკითხია, თუ რამდენად აქვთ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უფლება და რამდენად არის ეს უფლება გაწერილი კანონმდებლობით, რომელიც არის თანმიმდევრული, სრული, ლოგიკურად აგებული, ხელმისაწვდომი და ჩამოყალიბებული მარტივი და გასაგები ფორმით. აღნიშნული მოთხოვნის ანალიზისთვის, მნიშვნელოვანია სამართლებრივი ჩარჩოს შეფასება, რომელიც მოიცავს მთავრობის №219 დადგენილებას „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პრაქტიკულად გამოქვეყნების შესახებ“<sup>15</sup> და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III თავს, რომელიც უპირველესად ეხება ინფორმაციის თავისუფლების საკითხს. კანონები არის ხელმისაწვდომი და ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული პროცედურები არის მკაფიო და მარტივად გასაგები ფართო საზოგადოებისათვის. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27-50 მუხლები მკაფიოდ განსაზღვრავს საჯარო ინფორმაციის ფარგლებს ასევე, საჯარო ინფორმაციის ცნებას და მისი ხელმისაწვდომობის გზებს.

საკანონმდებლო ჩარჩო მკაფიოდ განსაზღვრავს საჯარო ინფორმაციის ფარგლებს და აწესებს შეზღუდვებს იმ ინფორმაციაზე, რომლის გასაიდუმლოება არ არის დაშვებული. მაგალითად, „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“<sup>16</sup> 42-ე მუხლი ადგენს ზოგად პრინციპებს და მიმართულებებს საჯარო დაწესებულების საქმიანობასთან დაკავშირებით, რომლის გასაიდუმლოებაც დაუშვებელია. დამატებით, 42-ე მუხლი კრძალავს ინფორმაციის გასაიდუმლოებას, რომელიც უკავშირდება საჯარო მოხელეთა თანამდებობასა და იმ პირთა ვინაობას, რომელთაც აქვთ წვდომა პირად ინფორმაციაზე, რომელიც ინახება საჯარო

<sup>15</sup> საქართველოს მთავრობის დადგენილება №219 (2013). საკანონმდებლო მაცნე:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2001875>

<sup>16</sup> საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი (1999). საკანონმდებლო მაცნე:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/16270>

დაწესებულებაში. 42-ე მუხლი ადგენს იმ ინფორმაციის ამომწურავ ნუსხას, რომლის საზოგადოებისთვის გასაიდუმლოება დაუშვებელია.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს საქართველოში არსებული ვითარება საჯარო ინფორმაციის პროაქტიურად გამოქვეყნებასთან დაკავშირებით. მთავრობის №219 დადგენილება მკაფიოდ განსაზღვრავს, თუ რომელ დაწესებულებებს მოეთხოვებათ ინფორმაციის პროაქტიურად გამოქვეყნება. იგი ასევე განსაზღვრავს პროცედურას, რომლის თანახმადაც საჯარო დაწესებულებებმა უნდა გამოაქვეყნონ ინფორმაცია. არსებული ვითარება ინფორმაციის პროაქტიურად გამოქვეყნებასთან დაკავშირებით, საკმაოდ ოპტიმისტურად გამოიყურება. საჯარო დაწესებულებების ვებ-გვერდების აბსოლუტური უმრავლესობა წარმოადგენს ინფორმაციის ფართო სპექტრს, მათ შორის, სამართლებრივ დოკუმენტაციას, აქტებს, ყოველწლიურ ანგარიშებს, ორგანიზაციულ სქემებს, საკონტაქტო ინფორმაციას და სხვა. დიდი ყურადღება ეთმობა საქართველოს მუნიციპალიტეტების მიერ ინფორმაციის პროაქტიურად გამოქვეყნებას. მუნიციპალიტეტების უმრავლესობამ გამოსცა სამართლებრივი აქტი, რომელიც არის მთავრობის №219 დადგენილების სამოქმედო გეგმის მსგავსი და დეტალურად ასახავს პროაქტიურად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის შინაარსსა და პროცედურას. მსგავსი ტენდენცია ასევე ხელმისაწვდომია სასამართლო სისტემაში, სადაც სასამართლოები სისტემატიურად აქვეყნებენ ინფორმაციას.

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ ასევე ადგენს ფორმას, რომლის მიხედვითაც საჯარო ინფორმაცია იქნება ხელმისაწვდომი. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლი განსაზღვრავს ვადებს და პროცედურას, რომელიც თან ახლავს ინფორმაციის გამოქვეყნებას. კანონის თანახმად, საჯარო დაწესებულებას აქვს 10 დღიანი ვადა მოთხოვნილი ინფორმაციის გამოსაქვეყნებლად ან კანონმდებლობის საფუძველზე, აღნიშნული ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ. ინფორმაციაზე წვდომა ყოველთვის უფასო არ არის. „საქართველოს კანონი საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“<sup>17</sup> განსაზღვრავს მოსაკრებელს, გადასახადს და საჯარო ინფორმაციაზე წვდომის პროცედურებს. ასლის გადაღების გადასახადი მერყეობს 0.05 ლარიდან 2.75 ლარამდე, დამოკიდებულია ასლის გადაღების ფორმაზე. მოქალაქე შესაძლოა გათავისუფლდეს საჯარო ინფორმაციის მოსაკრებლისგან, თუ მას ინფორმაციის მიღება სურთ ელექტრონული ფორმით, ან თუ თავად უზრუნველყოფს ინფორმაციის გადაწერას (CD დისკი, USB შენახვის მოწყობილობა, და სხვა). ფასები, რომელიც წარმოადგენილია კანონში არის მინიმალური და არ შეიძლება ჩაითვალოს საჯარო მმართველობის პრინციპების საწინააღმდეგოდ.

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ზოგადი ტენდენციის დემონსტრირების მიზნით, აღსანიშნავია რამდენიმე საჯარო დაწესებულების სტატისტიკური მაჩვენებლები. ინფორმაციის თავისუფლების შესახებ იუსტიციის სამინისტროს ყოველწლიური ანგარიშის თანახმად, 2013 წლის 10 დეკემბრიდან 2014 წლის 10 დეკემბრამდე, იუსტიციის სამინისტროში შესულია 158

<sup>17</sup> საქართველოს კანონი საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ. (2005).  
საკანონმდებლო მაცნე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29470>



მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გამოთხოვასთან დაკავშირებით. 158 მოთხოვნიდან 28 განეკუთვნებოდა სხვა დაწესებულების კომპეტენციას და შესაბამისად, მოხდა მათი გადამისამართება. იუსტიციის სამინისტრომ მოახდინა 96 მოთხოვნაზე რეაგირება, 4 მოთხოვნას ნაწილობრივ უპასუხა და ამჟამად ამუშავებს 24 მოთხოვნას. უარი ეთქვა მხოლოდ 6 მათგანს, მოთხოვნილი ინფორმაციის არარსებობის საფუძველზე. გარდა ამისა, მე-3 კვარტალში, შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში შესულია 20 მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით და მხოლოდ 1 მათგანს ეთქვა უარი, ასევე ინფორმაციის არარსებობის საფუძველზე.

სამოქალაქო საზოგადოება და არასამთავრობო სექტორი აქტიურად არიან ჩართულნი საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდის პროცესებში. რამდენიმე ორგანიზაციის თანამშრომლობის შედეგად, შეიქმნა საჯარო ინფორმაციის ვებგვერდი - [www.opendata.ge](http://www.opendata.ge), რომელიც წარმოადგენს საჯარო ინფორმაციის პორტალს და აღნიშნულ სფეროში არსებულ დეტალურ სტატისტიკას. მოცემულ ეტაპზე, საქართველო 35-ე ადგილზეა<sup>18</sup> (97 ქვეყანას შორის) მსოფლიოს მასშტაბით ღია მონაცემთა ინდექსის კუთხით, რომელიც წარმოადგენს ინიციატივას „Open Knowledge Foundation“ და თვალყურს ადევნებს მოქალაქეთა მიერ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პროცესს.

საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის პროცესი საჭიროებს სიზუსტეს და სიფრთხილეს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში არ არსებობს ცალკეული უწყება, რომელიც პასუხისმგებელი იქნებოდა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მონიტორინგზე, თითოეულ საჯარო დაწესებულებას ჰყავს გამოყოფილი პირი, რომელიც პასუხისმგებელია საჯარო ინფორმაციის წვდომაზე.

## გამოვლენილი პრობლემები

### 3.1 კორუფციული პრაქტიკის გამოვლენისა და აღმოფხვრის სუსტი მექანიზმები

ანგარიშვალდებულება, გამჭვირვალობა და ღიაობა არის კომპლექსური და მნიშვნელოვანი საკითხები დემოკრატიული საჯარო მმართველობისათვის, რომელიც აღიარებულია საქართველოს მთავრობის მიერ. მნიშვნელოვანია ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ სტრატეგიულ მიმართულებებში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით გადადგმული ნაბიჯების კოორდინაცია, სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა, ამ მიმართულებით განათლებისა და საზოგადოების ინფორმირებულობის დონის გაზრდა, ანტიკორუფციული მექანიზმების დანერგვა და გაძლიერება.

<sup>18</sup> ღია ინფორმაციის გლობალური ინდექსი (2014) Open Knowledge foundation:  
<http://index.okfn.org/place/georgia/>

### **3.2 დასახვეწი საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მექანიზმები და გამჭვირვალობა**

ამ სფეროში ძირითადი პრობლემებია: სამინისტროების ვებგვერდებზე განთავსებული არასრული ინფორმაცია, ინფორმაციაზე გართულებული წვდომა ფინანსური ანგარიშვალდებულებასა და საბიუჯეტო რესურსების გამოყენებაზე, საზოგადოების ჩართულობის ნაკლებობა გადაწყვეტილებების მიღების და სამართალშემოქმედების პროცესში, ჩართულობასთან დაკავშირებული მექანიზმების ნაკლებობა, ინფორმაციის თავისუფლების და ინფორმაციაზე წვდომის შესახებ ფრაგმენტული კანონმდებლობა, ელექტრონული მომსახურების და ინფორმაციის ხელმისაწვდომობისთვის შეუსაბამო ინფრასტრუქტურა.

#### **ამოცანები**

##### **3.1. „ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიისა და 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმის“ განხორციელება**

ქვეყანაში კორუფციის პრევენციისა და კორუფციის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის უზრუნველყოფის მიზნით ძირითად ამოცანას წარმოადგენს არსებული ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიისა და მისი 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელება. ანტიკორუფციული დოკუმენტები ეფუძნება შემდეგ 13 სტრატეგიულ პრიორიტეტს: კორუფციის პრევენციის მიზნით ეფექტიანი უწყებათაშორისი კოორდინაცია; საჯარო სამსახურში კორუფციის პრევენცია; ღიაობა, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და მოქალაქეთა ჩართულობა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში; განათლება და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება კორუფციის პრევენციის მიზნით; კორუფციის პრევენცია სამართალდამცავ ორგანოებში, კორუფციული დანაშაულების ეფექტიანი გამოვლენა და სისხლისსამართლებრივი დევნა; კორუფციის პრევენცია მართლმსაჯულების სისტემაში; გამჭვირვალობის უზრუნველყოფა და კორუფციული რისკების შემცირება საჯარო ფინანსების და სახელმწიფო შესყიდვების სფეროში; კორუფციის პრევენცია საბაჟო და საგადასახადო სისტემაში; კორუფციის პრევენცია კერძო სექტორთან მიმართებით; კორუფციის პრევენცია ჯანდაცვისა და სოციალურ სექტორში; პოლიტიკური კორუფციის პრევენცია; კორუფციის პრევენცია თავდაცვის სექტორში; კორუფციული რისკების შემცირება მარეგულირებელ ორგანოებში.

ანტიკორუფციულ სტრატეგიასა და 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმაში მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა ასევე კორუფციის კრიმინალიზაციასა და საერთაშორისო თანამშრომლობას.

2015-2016 წლების სამოქმედო გეგმის განხორციელების შემდეგ ანტიკორუფციული საბჭოს მიერ დამტკიცებული მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით უნდა მოხდეს გატარებული რეფორმების შეფასება და მომდევნო წლებისთვის სამომავლო ღონისძიებები დაგეგმვა.

##### **3.2. „ღია მმართველობის პარტნიორობის 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის“ განხორციელება**

„ღია მმართველობის პარტნიორობის 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის“ განხორციელება წარმოადგენს 2015 წლისთვის ქვეყანაში ღია მმართველობასთან დაკავშირებული მდგომარეობის გაუმჯობესების ძირითად ღონისძიებას. 2015 წლის სამოქმედო გეგმის

შესრულების შემდეგ, უნდა მოხდეს განხორციელებული რეფორმების შეფასება და მომდევნო პერიოდისთვის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებების და აქტივობების შემუშავება.

გამოწვევა, რომელიც შეეხება საჯარო სექტორის კეთილსინდისიერების გაზრდას მოიცავს 9 ვალდებულებას: ინფორმაციის თავისუფლების რეფორმა, ელექტრონული პეტიციების პორტალი, ღია ფორმატის ჭრილში პოლიტიკური პარტიების ფინანსური ანგარიშების გამოქვეყნებით საჯარო სექტორის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, საჯარო სამსახურის დაკომპლექტების რეგულაციების გაუმჯობესება და თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარირების მონიტორინგის სისტემის შექმნა. ასევე, გათვალისწინებულია ის ვალდებულებები, რომელიც ეხება საზოგადოების ჩართულობას საარჩევნო და ღია მმართველობის პროცესებში.

მთავარი გამოწვევის, საჯარო რესურსების უფრო ეფექტიანად მართვის ქვეშ მოიაზრება 7 ვალდებულება. მის მთავარ მიზანს წარმოადგენს ეფექტიანი მექანიზმის შექმნა საჯარო ფინანსების მართვის შესახებ ინფორმირებისათვის, ვალდებულებები ასევე ორიენტირებულია ეროვნული არქივის ღიაობაზე და ხელმისაწვდომობაზე, რომელიც მიიღწევა დაცული დოკუმენტების კატალოგების შექმნითა და გამოქვეყნებით. მესამე მთავარი გამოწვევის ქვეშ ასევე იგულისხმება საჯარო შესყიდვების სისტემის გაფართოება და ადამიანური რესურსების ელექტრონული მართვის სისტემის შექმნა.

მეოთხე მთავარი გამოწვევა, უსაფრთხო გარემოს შექმნა, გულისხმობს ალტერნატიული არხების გამოყენება 112-თან დასაკავშირებლად, ინტერაქტიული სტატისტიკა და დანაშაულის კრიმინოგენური რუკის შემუშავება.

ღია მმართველობის პარტნიორობა საქართველოს სამდივნო სამოქმედო გეგმის 2014-2015 შესრულების თვითშეფასების ანგარიშს ამზადებს მისი განხორციელების განმავლობაში ორჯერ: ერთი, როგორც შუალედური და მეორე სამოქმედო გეგმის მოქმედების ვადის ბოლოს. ანგარიშის დასრულების შემდგომ დაიწყება “ღია მმართველობა საქართველოს“ ახალი ციკლი.

#### **ძირითადი ინდიკატორები**

- სამართლებრივი ჩარჩო უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და თავისუფლებას;
- კორუფციის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ანტიკორუფციული მექანიზმები შემუშავებულია და მიმდინარეობს სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულება პასუხისმგებელი საჯარო უწყებების მიერ.

## 4. სახელმწიფო სერვისების მიწოდება

### მიზანი

რეფორმის მიზანია საქართველოში სერვისების მიწოდების სისტემის იმდაგვარად გაუმჯობესება, რომ იგი მოქალაქეებზე ორიენტირებული და კარგად მართული იყოს და საქართველოს ყველა მოქალაქე ხარისხიანი და ხელწმისავდომი სერვისებით უზრუნველყოფილ იქნას.

### ბოლოდროინდელი ცვლილებები

სერვისების მიწოდების გაუმჯობესებისთვის არსებულ პოლიტიკის ჩარჩოს ამ დროისათვის ფარავს შემდეგი დოკუმენტები: „ღია მმართველობის პარტნიორობის 2014-2015 წწ. სამოქმედო გეგმა“, „ციფრული საქართველო - ელ-საქართველოს 2014-2018 წწ. სტრატეგია და სამოქმედო გეგმა“ და „საჯარო ფინანსების მართვის 2014-2017 წწ. სტრატეგია“. პირველი ორი დოკუმენტი შემუშავებულია იუსტიციის სამინისტროს მიერ, ხოლო მესამე - ფინანსთა სამინისტროს მიერ. იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში ფუნქციონირებს „ინოვაციური სერვისების ლაბორატორია“, რომელიც მომხმარებელთა მოთხოვნებსა და საჭიროებებზე მაქსიმალურად მორგებული სერვისების შექმნას ისახავს მიზნად. ინოვაციური სერვისების ლაბორატორია ასევე თანამშრომლობს სხვადასხვა სამთავრობო უწყებებთან, როგორცაა შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრი - 112, და ახორციელებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას, პროცესში ამ პირების უშუალო ჩართულობით შემუშავებული მიდგომების გზით.

### არსებული სიტუაციის ანალიზი

საქართველოში სახელმწიფოს მიერ მომსახურების მიწოდება ხდება სხვადასხვა სამინისტროს მიერ მომსახურების სააგენტოების მეშვეობით, თავად სამინისტროების ან არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ სახელმწიფო დაფინანსებით. ყველა მათგანს აქვს ინდივიდუალური დებულება, რომელიც განსაზღვრავს მათ ფუნქციებსა და საქმიანობას, ასევე მოქმედებს შესაბამისი ნორმატიული აქტები, რომლებიც აწესებს მომსახურების გადასახადს. გარკვეულწილად შემუშავებულია და მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის არაფორმალური სისტემები. ამჟამად საქართველოში ფუნქციონირებს 19 სამინისტრო, ორასზე მეტი სახელმწიფო დაწესებულება და სახელმწიფო საწარმო, რომლებიც ჯამში ათასობით სახის მომსახურების მიწოდებას ახორციელებს.

საქართველოს მთავრობის მიერ მომსახურების მიწოდება აღიარებულ იქნა გაეროს<sup>19</sup> და მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ, ინოვაციურობისთვის სახელმწიფო სექტორში. იუსტიციის სამინისტროს გადაეცა პრიზი „იუსტიციის სახლისთვის“ კატეგორიაში „სახელმწიფო სერვისების მიწოდების გაუმჯობესება“. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ მიიღო ჯილდო ონლაინ სახელმწიფო შესყიდვების სისტემისთვის, კატეგორიაში „კორუფციის პრევენცია და დამარცხება საჯარო სამსახურში“.

<sup>19</sup> გაერთიანებული ერების საჯარო სამსახურის დღე. (2001). UNPAN: <http://unpan1.un.org/intradoc/groups/public/documents/un-dpadm/unpan049650.png>

ძირითადად, საჯარო მომსახურების მიწოდება ხდება პირისპირ, თუმცა ელექტრონული მომსახურებაც პროგრესულად ვითარდება ბოლო წლების განმავლობაში. მომსახურების მიწოდების საკითხი რეგულირდება ინდივიდუალური სამართლებრივი აქტებით, რამდენადაც არ არსებობს უნივერსალური რეგულაცია ცენტრალურ დონეზე, რომელიც უზრუნველყოფს მომსახურების ხელმისაწვდომობის ერთგვაროვნებას.

მაგალითად, „იუსტიციის სახლს“<sup>20</sup> გააჩნია ორენოვანი ვებგვერდი ქართულ და ინგლისურ ენებზე, ერთ-ერთ გვერდს მომხმარებელი გადაჰყავს ელ-მომსახურების გვერდზე, სადაც შესაძლებელია დაახლოებით 40-მდე მომსახურების ელექტრონულად მიღება, როგორცაა: საგადასახადო გირავენობის/იპოთეკის რეესტრი, საკადასტრო მონაცემები, სამეწარმეო რეესტრი, ქონების რეესტრი, ცნობა ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებების არარსებობის შესახებ, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ელექტრონული აუქციონი და სხვა. თუმცა ვებგვერდი განმარტავს, რომ ელ-მომსახურება ხელმისაწვდომია მხოლოდ ქართულ ენაზე. ფინანსთა სამინისტროს აქვს საგადასახადო დოკუმენტის ელექტრონულად წარდგენის სისტემა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში მოქმედებს ჯანდაცვის მართვის ოპერაციული სისტემა, რომელიც ხელმისაწვდომია ვებგვერდის მეშვეობით, ხოლო განათლების სამინისტრო ელ-მომსახურების საშუალებით შესაძლებელია სკოლებში მოსწავლეების და ერთიან ეროვნულ გამოცდებზე უნივერსიტეტების აბიტურიენტების რეგისტრაცია.

ელექტრონული მომსახურებები ნაწილობრივ ერგება განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ჯგუფების, კერძოდ, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მოთხოვნებს. მაგალითად, შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე ფუნქციონირებს ხმოვანი პორტალი, რომელიც განკუთვნილია უსინათლო და მცირემხედველი პირებისთვის, ასევე გადაუდებელი დახმარება ხელმისაწვდომი გახდა ყრუ და სმენადაქვეითებული პირებისთვის. გარდა ამისა, მომსახურების მიწოდება, როგორცაა ქონების ან ბიზნესის რეგისტრაცია, ხორციელდება ქალაქად „იუსტიციის სახლების“ და სოფლად „საზოგადოებრივი ცენტრების“ მეშვეობით. სპეციალური მომსახურებების მიწოდება, რაც განკუთვნილია სოციალურად დაუცველი ჯგუფებისთვის, ხორციელდება არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ. მიუხედავად იმისა, რომ ჯანდაცვის სამინისტრო ადგენს მინიმალურ მოთხოვნებს მომსახურების მომწოდებლებისთვის, ხარისხზე მოთხოვნა სერვისების მოსარგებლების მხრიდან გაცილებით მაღალია. რაც შეეხება ყველაზე მოთხოვნადი სერვისების მიწოდების ტერიტორიულ ქსელს, უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროს, ჯანდაცვის სამინისტროს და განათლების სამინისტროს გააჩნია დაფარვა მთელი ქვეყნის მასშტაბით. ზოგადად, წვდომა ცალკეულ მომსახურებებზე უფრო მარტივია ქალაქებში, ვიდრე სოფლად რის გაუმჯობესების საჭიროებაც კვალავ დგას.

<sup>20</sup> იუსტიციის სახლი. (2015). ელექტრონული სერვისები: [http://psh.gov.ge/index.php?sec\\_id=16&lang\\_id=GEO](http://psh.gov.ge/index.php?sec_id=16&lang_id=GEO)

## გამოვლენილი პრობლემები

მიუხედავად იმისა, რომე სახელმწიფო სერვისების მიწოდება საგრძნობლად განვითარდა უკანასკნელი წლების განმავლობაში, მაინც არსებობს რამდენიმე საკითხი, რომელიც საჭიროებს გაუმჯობესებას. ჩვენ მიმოვიხილეთ არსებული მდგომარეობა მომსახურების მიწოდების სისტემაში ცალკეულ კრიტერიუმებთან მიმართებაში და დასკვნები ავსახეთ მე-2 დანართში.

### 4.1 მაღალი ხარისხის მომსახურებისა და მიწოდებისთვის ერთიანი პოლიტიკის ნაკლებობა, რამაც უნდა უზრუნველყოს მთავრობის სერვისების შექმნა მომხმარებლების საჭიროებების გათვალისწინებით

ცენტრალურ დონეზე არ არსებობს თანმიმდევრული პოლიტიკა და ადმინისტრაციული პროცედურების სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც განსაზღვრავდა, სახელმწიფო სერვისების შექმნის და მიწოდების ერთიან პოლიტიკას. მათ შორის, ელექტრონულ მომსახურებას, ვებგვერდის და პორტალების ავტორიზაციის, იდენტიფიკაციის, სერვისების საფასურის გადახდის პროცედურებს, მონაცემთა უსაფრთხოებასა და მომსახურების არხების ერთგვაროვნებას. არ არსებობს რაიმე წესი ან სტანდარტი, რომელიც ხელს შეუწყობდა ძირითადი სახელმწიფო სერვისების მიწოდების ხარისხის უწყვეტ განვითარებას ან პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფდა სერვისებზე თანაბარ წვდომას სპეციალური საჭიროებების მქონე ჯგუფებისთვის.

### 4.2 ერთიანი სამართლებრივი ჩარჩოს არარსებობა სერვისების მიწოდებისა და ელ-მომსახურების სფეროში

ყველა სსიპ-ს აქვს საკუთარი დებულება და მოქმედებს შესაბამისი რეგულაციები, რომლებიც განსაზღვრავს მათ ფუნქციებსა და საქმიანობის პროცესს. სახელმწიფო სერვისების ფასები გარკვეულწილად გამჭირვალეა, ვინაიდან კანონები, რომლებიც განსაზღვრავს მომსახურების ღირებულებას, ხელმისაწვდომია საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე<sup>1</sup>. მომსახურების თითოეულ სააგენტოს აქვს ამგვარი ცალკეული კანონი. მაგალითად, „იუსტიციის სახლის“ მიერ „სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ მომსახურებასთან დაკავშირებული ფასები კანონით არ არის დადგენილი, სააგენტოს და დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში საკონსულო თანამდებობის პირის მიერ გაწეული მომსახურების ვადები და ამ მომსახურებისთვის დაწესებული საფასურის ოდენობები, საფასურის გადახის, გადახდილი საფასურის დაბრუნების და საფასურის გადახდისგან განთავისუფლების წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით, საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანდებით ან/და ხელშეკრულებით<sup>21</sup>. შსს-ს მომსახურების სააგენტოსთან მიმართებით, „საქართველოს კანონი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის

<sup>21</sup> საქართველოს მთავრობის დადგენილება № 508, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს და დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში საკონსულო თანამდებობის პირის მიერ გაწეული მომსახურების ვადების, ამ მომსახურებისათვის დაწესებული საფასურების ოდენობების და საფასურის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ, 2011.

დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ<sup>22</sup> განსაზღვრავს მათი მომსახურების საფასურს, თუმცა არცერთი მათგანი არ განსაზღვრავს მომსახურების განფასების მეთოდოლოგიას. მოქალაქეთა სარეგისტრაციო მომსახურებისთვის, დროთა განმავლობაში იუსტიციის სამინისტრო, ახდენს ფასების შემცირების ინიცირებას და შემცირებული ფასების შეთავაზება ხდება არა მხოლოდ იუსტიციის სახლებში, არამედ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ ოფისებში და საზოგადოებრივ ცენტრებში, იმისთვის, რომ მოხდეს იმ პირთა მოცვა, რომლებიც მომსახურების საფასურის გამო ვერ ახერხებენ რეგისტრაციას.

#### **4.3 ხარისხის უზრუნველყოფის ფორმალური სისტემების ნაკლებობა**

მომსახურების მიწოდების სააგენტოებში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემები გარკვეულწილად განვითარებულია. მაგალითად, „იუსტიციის სახლს“ გააჩნია „იდუმალი მყიდველის“ პრაქტიკა, მომხმარებელთა გამოკითხვა, თანამშრომელთა ტესტირება მომსახურებების ცოდნის შესამოწმებლად და სხვა. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს აქვს შიდა აუდიტის განყოფილება, რომელიც პასუხისმგებელია სააგენტოს მიერ მიწოდებული მომსახურების მონიტორინგსა და შეფასებაზე. შიდა აუდიტის განყოფილების თანამშრომლები ახორციელებენ პერიოდულ ვიზიტებს ტერიტორიულ ოფისებში მონიტორინგისა და შეფასების მიზნებისთვის. შემოსავლების სამსახურსაც აქვს განვითარებული ხარისხის კონტროლის სისტემები. მაგალითად, გაფორმების ეკონომიკურ ზონას გააჩნია ძალიან მკაცრი პოლიტიკა, ოფისის წინ ტერიტორია მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშაა, თითოეული მომსახურების გაწევა უნდა მოხდეს დროის გარკვეულ პერიოდში და ა.შ. თუმცა, ძირითადად,

**ამგვარი მომსახურების სისტემები არაფორმალური ხასიათისაა, არაერთგვაროვანი და ცენტრალურ დონეზე მათი უწყვეტობა უზრუნველყოფილი არ არის.**

#### **ამოცანები**

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მომსახურების მიწოდების სფეროში მომდევნო პერიოდისთვის განისაზღვრა შემდეგი ამოცანები:

**4.1. ერთიანი პოლიტიკის შემუშავება მაღალი ხარისხის მომსახურების მიწოდებისთვის, რომელიც უზრუნველყოფს, რომ მთავრობის სერვისები პასუხობს მომხმარებელთა საჭიროებებს**  
აღნიშნული პოლიტიკა უზრუნველყოფს სერვისების შემუშავებას საზოგადოებრივი მოთხოვნებისა და საჭიროებების საფუძველზე. შეფასდება სახელმწიფო სერვისების მიმწოდებელთა ინსტიტუციური მოწყობა სერვისების მიწოდების გაუმჯობესებისთვის და შემუშავდება შესაბამისი პოლიტიკა, რომელიც თანაბარ ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს. ამისთვის საჭიროების შემთხვევაში გაფართოვდება მომსახურების მიმწოდებლების ტერიტორიული ქსელი, გაგრძელდება „ერთი ფანჯრის“ პრინციპით სერვისების მიწოდება, შეფასდება პირისპირ გაწეულ მომსახურებებზე წვდომის შესაძლებლობები და სადაც ეს შესაძლებელი იქნება შემუშავდება მიწოდების ელექტრონული არხები და, ასევე, ძირითადი

<sup>22</sup> საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ, 2006 საკანონმდებლო მაცნე:  
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/23230>

სერვისები და ელექტრონული სერვისები, ხელმისაწვდომი გახდება განსაკუთრებული საჭიროებების მქონე მოქალაქეებისთვის, როგორებიც არიან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, ხანდაზმული პირები, უცხოელები, ბავშვიანი ოჯახები და სხვა.

#### **4.2 ადმინისტრაციული პროცედურების შესახებ ერთიანი სამართლებრივი ჩარჩოს შემუშავება, რათა მოხდეს სპეციალური რეგულაციების მინიმუმამდე დაყვანა**

შემუშავდება ადმინისტრაციული პროცედურების შესახებ ერთგვაროვანი სამართლებრივი ჩარჩო, რომლის მიზანიც იქნება ცალკეული რეგულაციების შეზღუდვა და მომსახურების მიწოდებელი სააგენტოების სერვისების მიწოდების ადმინისტრირების თავმოყრა საერთო პროცედურების ქვეშ. აღნიშნულს საფუძვლად დაედება ისეთი პრინციპები, როგორიცაა: კანონიერება, სამართლიანობა, თანასწორი მოპყრობა, პროპორციულობა, დისკრეციული უფლებამოსილების კანონიერად განხორციელება, ღიაობა და გამჭვირვალობა, მიუკერძოებლობა, ობიექტურობა და კეთილსინდისიერება. შესაბამისად შემუშავდება სერვისებისა და ელ-სერვისების მიწოდების ერთიანი სამართლებრივი ჩარჩო და ხარჯთაღრიცხვის მეთოდოლოგია ცენტრალურ დონეზე.

#### **4.3 საჯარო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის უნივერსალური სისტემის შექმნა**

დაინერგება ხარისხის უზრუნველყოფის ახალი მექანიზმები, როგორცაა მომსახურების ქარტიები, საერთო შეფასების ჩარჩო, თვითშეფასების ინსტრუმენტები, ხარისხის ჯილდოები, ISO და სხვა საერთაშორისო სერტიფიკატები. ამოქმედდება მომსახურების რეგულარული მონიტორინგის, შეფასებისა და ხელახალი დიზაინის პროცესი, რომელიც დაეფუძნება მომხმარებელთა კმაყოფილებას და მათი მოთხოვნების ანალიზს. მომხმარებელთა გამოკითხვა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაში მომხმარებელთა ჩართულობას განაპირობებს. საზოგადოების ჩართულობა და ორმხრივი კომუნიკაცია საზოგადოებრივი მომსახურების ხარისხის კმაყოფილების დონის განსასაზღვრად უზრუნველყოფს მუდმივ გაუმჯობესებას და ახალი სერვისების შექმნას მომხმარებელთა ინტერესების შესაბამისად. მომსახურების ხარისხის ერთიანი სტანდარტები განისაზღვრება ძირითადი სახელმწიფო სერვისებისთვის სახელმწიფოს მიერ. ამ თვალსაზრისით, გაიწერება ხარისხიანი სახელმწიფო სერვისების შექმნისა და მიწოდების სტანდარტები, შემუშავდება „მოქალაქეთა კმაყოფილების კვლევების განხორციელების მეთოდოლოგია“ და მომზადდება ხარისხიანი მომსახურების მისაწოდებლად თანამშრომელთა გადამზადების ერთიანი სტანდარტი.

#### **4.4 ციფრული საქართველო: ელექტრონული საქართველოს 2014-2018 წლების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელება**

ელ-საქართველოს სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელება წარმოადგენს 2015 წლისთვის ძირითად ღონისძიებას ელ-სისტემების გაუმჯობესებისთვის. დოკუმენტი, სახელწოდებით „ციფრული საქართველო: ელექტრონული საქართველოს 2014-2018 წლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა“ ასახავს თანამედროვე საქართველოსკენ მიმავალ გზას და წარმოადგეს სოციალური ცვლილებებისთვის გზამკვლევის, რომელიც საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) გამოყენებით იქნება შესაძლებელი.



აღნიშნული ორიენტირებულია იმ პოტენციურ სფეროებზე, სადაც სახელმწიფო სექტორს შეუძლია ზომების მიღება და ICT-ის სრული პოტენციალის გამოყენების ჩარჩოს შექმნა. სტრატეგიის ამოცანები გულისხმობს ისეთი აქტივობების განხორციელებას, რომლებიც მიმართულია, მოქალაქეთა, ბიზნესების და მთავრობის მუშაობის გაუმჯობესებისთვის, მაგალითად ელ. სერვისების შემუშავება და ხარისხის სისტემები, ღია მონაცემთა პორტალი, გამჭვირვალობა და ღია მმართველობა, ელ-მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების და პოლიტიკის პროცესში, ელ-არქივი, ელექტრონული უსაფრთხოებისა და ინფრასტრუქტურის საკითხები და სხვა. 2015 წლის სამოქმედო გეგმის განხორციელების შემდეგ, მოხდება განხორციელებული რეფორმების შეფასება და ნაბიჯების და ქმედებების განსაზღვრა მომდევნო წლებისთვის.

#### **ძირითადი ინდიკატორები**

- სერვისებით კმაყოფილი მომხმარებლების მაღალი პროცენტული მაჩვენებელი;
- საქართველოს ქულები ელ-სერვისებისთვის „biannual UN e-Government Survey-ში“ 5 ქულით 2016 წელს, ხოლო 2018 წელს 10 ქულით გაიზარდა;
- მოქალაქეზე ორიენტირებული სერვისების მიწოდების პოლიტიკა დამტკიცებულია და ხორციელდება.

### **5. საჯარო ფინანსების მართვა**

#### **მიზანი**

საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის მიზანს წარმოადგენს ფინანსური სტაბილურობისა და საჯარო ფინანსების ეფექტური განაწილების უზრუნველყოფა მთავრობის პრიორიტეტების შესაბამისად.

#### **ბოლოდროინდელი ცვლილებები**

საქართველოს მიზანმიმართული პოლიტიკა, რომელიც ასახულია „საჯარო ფინანსების მართვის 2014-2017 წლების სტრატეგიაში“ (PFM), გულისხმობს მჭიდრო ურთიერთკავშირს გადაწყვეტილების მიღებისა და ეროვნულ პრიორიტეტებს შორის.

2015 წლიდან დაინერგა ახალი რეგულაცია, რომელიც გულისხმობს ადგილობრივი თვითმმართველობისა და ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტების მართვას საჯარო ფინანსების მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით (ელექტრონული ბიუჯეტის სისტემა და სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემა), რაც უთუოდ სასარგებლო იქნება ზუსტი ანგარიშებისა და ანგარიშვალდებულებისთვის.

2012 წლის 1 იანვარს, შეიქმნა სსიპ „კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო“, რომელიც 2014 წლის 31 მარტს გაიყო სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდ და კონკურენციის სააგენტოდ. „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო“ ახორციელებს მეთვალყურეობას რათა უზრუნველყოს სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების მაღალი ლეგიტიმურობა შესყიდვების პროცესის რეგულირებისთვის პოლიტიკის შემუშავების გზით. სსიპ „კონკურენციის სააგენტო“ აგრძელებს თავის საქმიანობას დამოუკიდებლად.

## არსებული სიტუაციის ანალიზი

არსებობს საკანონმდებლო აქტები და პოლიტიკის განსაზღვრის დოკუმენტები, რომლებიც ქმნიან საქართველოში საჯარო ფინანსების მართვის სისტემის სამართლებრივ და პოლიტიკურ ჩარჩოს. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“<sup>23</sup> ადგენს საჯარო ფინანსების ძირითად ჩარჩოებს, მათ შორის, ხარჯების საშუალო ვადიანი დაგეგმვისა და პროგრამული ბიუჯეტირებისთვის. აღნიშნული ეფუძნება მთელ რიგ ცალკეულ ელემენტებს, როგორცაა: ბიუჯეტის სტრატეგიული შედგენა, ბიუჯეტის მომზადება და დამტკიცება, რესურსების მართვა, მაგალითად ფინანსური რესურსების, სახელმწიფო ვალის და ფულადი სახსრების მართვა; შემოსავლების მობილიზება რეგულირდება „საქართველოს საგადასახადო კოდექსით“<sup>24</sup>, სახელმწიფო შესყიდვები რეგულირდება „საქართველოს კანონით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“<sup>25</sup>, შიდა კონტროლი, რომელიც განსაზღვრულია „შიდა აუდიტის სტანდარტებით“<sup>26</sup>, საბუღალტრო აღრიცხვა და ანგარიშგება, რაც რეგულირდება საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ“<sup>27</sup>, გარე აუდიტი და ანგარიშვალდებულება, რაც განისაზღვრება "საქართველოს კანონით სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“<sup>28</sup>.

## გამოვლენილი პრობლემები

### 5.1 საჯარო ფინანსების მართვის სფეროში პოლიტიკისა და სამართლებრივი ჩარჩოს თანხვედრის ნაკლებობა

ფინანსთა სამინისტრომ შეიმუშავა 2014-2017 წლების საჯარო ფინანსების მართვის სტრატეგია და 2015 წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც ფარავს არც თუ ისე კარგად განვითარებულ სფეროებს და ახდენს სისტემაში არსებული გარკვეული ხარვეზების კორექტირებას. საჯარო ფინანსების მართვის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ძირითადი სფეროებია: ბიუჯეტის მართვა, საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა, საბაჟო და საგადასახადო სისტემა, მაკროეკონომიკური პროგნოზები და ანალიზი, სახელმწიფო ვალის მართვა, საერთაშორისო საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებით გათვალისწინებული დარიცხვის მეთოდების დანერგვა, საჯარო ფინანსების მართვის ინტეგრირებული IT სისტემა, შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმა, შეფასება და ინფორმირებულობის დონის ამაღლება, შიდა აუდიტი და მისი ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველყოფა, საჯარო ფინანსების მართვის

<sup>23</sup> საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი. (2014). საკანონმდებლო მაცნე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1043717>

<sup>24</sup> საქართველოს საგადასახადო კოდექსი (2010) საკანონმდებლო მაცნე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1043717#!>

<sup>25</sup> საქართველოს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ. (2005). საკანონმდებლო მაცნე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31252>

<sup>26</sup> შიდა აუდიტის სტანდარტები. (2011). ფინანსთა სამინისტრო: [http://mof.ge/common/get\\_doc.aspx?doc\\_id=874](http://mof.ge/common/get_doc.aspx?doc_id=874)

<sup>27</sup> საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ. (29 ივნისი 2012 .). საკანონმდებლო მაცნე: [http://www.parliament.ge/ge/law/download\\_41214/31102011-pdf](http://www.parliament.ge/ge/law/download_41214/31102011-pdf)

<sup>28</sup> საქართველოს კანონი სახელმწიფო აუდიტის შესახებ. (2012). სახელმწიფო აუდიტის ოფისი: [http://sao.ge/files/kanonmdebloba/saxelmcfifo-auditis-samsaxuris-shesaxeb-saqartvelos-kanoni\\_GEO.pdf](http://sao.ge/files/kanonmdebloba/saxelmcfifo-auditis-samsaxuris-shesaxeb-saqartvelos-kanoni_GEO.pdf)

IT სისტემა, ელ-აუქციონის მართვის სისტემის განახლება, საწარმოს რესურსების დაგეგმვა. ვინაიდან საჯარო ფინანსების მართვის სტრატეგია ფოკუსირებულია უფრო მეტად გადაწყვეტილებებზე, ვიდრე პრობლემების აღწერაზე, საჭირო მაკორექტირებელი ღონისძიებების უფრო დეტალური აღწერა ამ მხრივ წარმოდგენილი არ არის. ფინანსური მართვისა და კონტროლის საკითხი კარგი სახელმწიფო მმართველობის თვალსაზრისით, არის რთული და მნიშვნელოვანი საკითხი, რაც აღიარებულია მთავრობისა და ფინანსთა სამინისტროს მიერ.

## **5.2 არასაკმარისი ფინანსური მართვა და კონტროლი**

საჯარო ფინანსების მართვის სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის მთავარ ნაკლოვანებას წარმოადგენს ფაქტი, რომ იგი ძირითადად ორიენტირებულია სტრატეგიულ პროცესებსა და დოკუმენტაციაზე, რაც აუცილებელია საჯარო ფინანსების მართვისთვის, თუმცა ამავდროულად აღნიშნული თავიდან იცილებს სათანადო განხორციელების საკითხებს, კერძოდ, მართვის ღონისძიებებს და რესურსების მართვას. გამჭვირვალე ფინანსური მართვის სისტემის შესაქმნელად, უნდა განისაზღვროს მენეჯერის ზუსტი განმარტება და დაწესებულებების კონკრეტული მართვის სტრუქტურა, ასევე უნდა შემუშავდეს ანგარიშვალდებულების ნათელი ჯაჭვი. არსებული სისტემა ვერ განსაზღვრავს ფინანსური მართვის ოპერატიულ გავლენას მომსახურების სწორ და ეფექტურ მიწოდებაზე. არსებობს ფინანსური ანალიზის და დაწესებულებაში წამყვანი ფინანსური აღმასრულებლის როლის მნიშვნელობის გაცნობიერების ნაკლებობა. მოცემულ ეტაპზე, არ არის საჭიროება მოხდეს ფინანსური ინფორმაციის შემუშავება და წარმოდგენა, გარდა იმისა, რაც უკავშირდება ბიუჯეტის მომზადებას და ხარჯებს.

## **ამოცანები**

### **5.1 საჯარო ფინანსების მართვის 2014-2017 წლების სტრატეგიისა და 2015 წლის სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სისტემის გაუმჯობესებისთვის, საჯარო ფინანსების მართვის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელება წარმოადგენს ძირითად ღონისძიებას 2015 წლისთვის. საჯარო ფინანსების მართვის სამოქმედო გეგმაში გაერთიანებულია შემდეგი სფეროები: ბიუჯეტის მართვის გაუმჯობესება, საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა, საგადასახადო და საბაჟო მოვალეობების და საზღვრის კონტროლის ადმინისტრირება, მაკროეკონომიკური პროგნოზირება და ანალიზი, დარიცხვის მეთოდის დანერგვა IPSAS-ს სტანდარტების მიხედვით და სხვა. 2015 წლის სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის შემდეგ, უნდა განხორციელდეს გატარებული რეფორმების შეფასება და უნდა შემუშავდეს შემდგომი ნაბიჯები და ქმედებები მომდევნო წლებისთვის.

### **5.2 ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის განმტკიცება**

ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის განმტკიცების მიზნით, უნდა განხორციელდეს თანმიმდევრული ქმედებები. ვინაიდან საჯარო ფინანსების მართვის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა უკვე შემუშავებულია 2015 წლისთვის, „საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევის“ გეგმა აქცენტს აკეთებს წინამდებარე პრობლემის უფრო დეტალურ ანალიზზე, კონკრეტული

მაკორექტირებელი ღონისძიებების შემუშავებაზე და მომდევნო პერიოდის ახალ სამოქმედო გეგმაში მათ ასახვაზე.

#### ძირითადი ინდიკატორები:

- რამდენად სრულყოფილი, სწორად განთავსებული და გამოყენებითი არის FMC-ის საოპერაციო ჩარჩო;
- რამდენად სწორად არის შექმნილი და განთავსებული შიდა აუდიტის საოპერაციო ჩარჩო;
- შიდა აუდიტის ანგარიშების ხარისხი;
- რამდენად სრულყოფილი და ძალაში შესულია შესყიდვების კანონმდებლობა

## 6. ადგილობრივი თვითმმართველობა

### მიზანი

ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის მიზანს წარმოადგენს დეცენტრალიზაციის პროცესის გაუმჯობესება და ადგილობრივ დონეზე უკეთესი მმართველობის მიღწევა.

### ბოლოდროინდელი ცვლილებები

2013 წელს, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მონაწილეობით მომზადდა და მთავრობის 2013 წლის მარტის №223 განკარგულებით დამტკიცდა „დეცენტრალიზაციისა და თვითმმართველობის განვითარების სტრატეგიის ძირითადი პრინციპები 2013-2014 წლებისთვის“<sup>29</sup>. აღნიშნული დოკუმენტი ასახავს უფრო დეტალურად, ფაზებსა და პოლიტიკური რეფორმების თანამიმდევრულობას, მათ შორის, მათი განხორციელების პროცესს. ამ უკანასკნელი დოკუმენტის შემდეგ, 2014 წელს მიღებულ იქნა „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“<sup>30</sup>. აღნიშნული კანონი, ევროპის საბჭოს ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის ექსპერტიზის ცენტრის შეფასებით, პასუხობს „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტიის<sup>31</sup> მოთხოვნებს.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ შეიმუშავა „ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის, დეცენტრალიზაციისა და რეგიონული განვითარების 2014-2017 წლების სამოქმედო გეგმის“<sup>32</sup> პროექტი მატრიცის ფორმით. აგრეთვე, სამინისტროს მიერ შემუშავებული იქნა „საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა 2015-2017 წლებისთვის“<sup>33</sup>, რომელიც დამტკიცდა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 9 ივლისის №1215

<sup>29</sup> საქართველოს მთავრობის განკარგულება №223 (2013) ხელმისაწვდომია:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2209502>

<sup>30</sup> საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ (2014) ხელმისაწვდომია:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/224429>

<sup>31</sup> „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტია“ (1985)

<http://conventions.coe.int/Treaty/EN/Treaties/Html/122.htm>

<sup>32</sup> „ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის, დეცენტრალიზაციისა და რეგიონული განვითარების 2014-2017 წლების სამოქმედო გეგმა“ (2014) სამუშაო ვერსია.

<sup>33</sup> 2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის მომზადების თაობაზე განკარგულება № 13 15 (2013) საკანონმდებლო მაცნე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/201914>

განკარგულებით ფაქტობრივად, რეგიონული განვითარების პროგრამა წარმოადგენს საშუალოვადიან სამთავრობო დოკუმენტს, რომელიც განსაზღვრავს საქართველოს რეგიონული განვითარების პოლიტიკის ძირითად მიზნებსა და ამოცანებს და მის შესაბამის პრიორიტეტებს და ღონისძიებებს. პროგრამა შემუშავებული იყო მთავრობის 2013 წლის 10 სექტემბრის №1315 დადგენილების შესაბამისად და ამავდროულად, ევროკავშირსა და საქართველოს შორის მიმდინარე და დაგეგმილი თანამშრომლობის, მათ შორის, საბიუჯეტო და სექტორული პოლიტიკის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში. რეგიონული განვითარების პროგრამის განხორციელება შეესაბამება ასოცირების შეთანხმებასა და მის დღის წესრიგს. პროგრამა ეფუძნება და უკავშირდება ევროკავშირის კოჰეზიის პოლიტიკის გამოცდილებას ბოლო ათწლეულების განმავლობაში. 2014 წლის 7 მაისს, მთავრობის №959 განკარგულებით დამტკიცდა „ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეთა უწყვეტი სწავლების კონცეფციის 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმა“.<sup>34</sup>

„მონაცემთა გაცვლის სააგენტომ“, რომელიც არის იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი, შეიმუშავა სტრატეგიის პროექტი: „ციფრული საქართველო: ელექტრონული საქართველოს სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2014-2018 წლებისთვის“, რომელიც განსაზღვრავს საქმიანობას ადგილობრივ დონეზე მართვის გაუმჯობესების მიზნით. მაგალითად, დოკუმენტის ერთ-ერთი მისიაა შექმნას მდგრადი ურთიერთთავსებადობის საფუძველი უსაფრთხო და სანდო წყაროებისთვის, რათა შესაძლებელი გახდეს ინფორმაციის გაცვლა, ინფორმაციული სისტემებისა და ტექნოლოგიების გაზიარება სახელმწიფო სააგენტოებში, **ადგილობრივ თვითმმართველობებში**, მუნიციპალიტეტებსა და კერძო ორგანიზაციებში“. აქტივობის განხორციელების შემდეგ „ცენტრალური საჯარო G2B/G2NGO/B2G სერვისების 90% და ადგილობრივი თვითმმართველობისა და კერძო სექტორის სერვისების 70% ხელმისაწვდომი იქნება არაერთი არხის მეშვეობით ტრანზაქციის დონეზე, მომხმარებლისთვის მოსახერხებელი და ეფექტიანი გზით, „ერთი ფანჯრის“ პრინციპით მოქმედი პორტალის (ერთი ჰაბი) მეშვეობით, რომელიც შეასრულებს საჯარო მოვალეობებს“ და ასევე შესაძლებელი იქნება განვითარებული ადგილმდებარეობის“ დონეზე ელექტრონული ჩართულობის სტრატეგიისა და ჩარჩოს განსაზღვრა, დაგეგმვა და განხორციელება იმის გათვალისწინებით, თუ რა არის საჭირო ელექტრონული ჩართულობისთვის ადგილობრივ და ქალაქის დონეზე (საჭიროებისამებრ, დაკავშირებულია კონკრეტულ „განვითარებულ თემებთან“ და/ან „განვითარებული ქალაქის“ გეგმასთან).

### არსებული სიტუაციის ანალიზი

საქართველოში 71 თვითმმართველი ერთეულია, რომელთაგან 12-ს მინიჭებული აქვს თვითმმართველი ქალაქის სტატუსი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ თანახმად. აგრეთვე, ორი ავტონომიური რესპუბლიკაა: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიები მოცემულ ეტაპზე ოკუპირებულია

<sup>34</sup> საქართველოს მთავრობის განკარგულება №959 (2014) „ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეთა უწყვეტი სწავლების კონცეფციისა“ და ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეთა უწყვეტი სწავლების კონცეფციის განხორციელების სამოქმედო გეგმის“ მოწონების თაობაზე. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2365571>

რუსეთის ფედერაციის მიერ და საქართველო მათზე ვერ ახორციელებს სამართლებრივ კონტროლს. აღნიშნული ტერიტორიების სტატუსი განსაზღვრულია „საქართველოს კანონით ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“<sup>35</sup>, რომელიც მიღებულია პარლამენტის მიერ 2008 წლის 20 დეკემბერს. საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში დანიშნულია 9 სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი, რომელთა დანიშვნაზე უფლებამოსილია საქართველოს მთავრობა. ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება მუნიციპალიტეტში (თვითმმართველი ქალაქი და თვითმმართველი თემი).

## გამოვლენილი პრობლემები

### 6.1 ადგილობრივ დონეზე კარგი მმართველობის განვითარებისათვის სტრატეგიული დოკუმენტების სრულყოფისა და განახლების აუცილებლობა

დღემდე საქართველოს მთავრობის ძალისხმევით ხორციელდებოდა ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის რეფორმა და განვითარება, თუმცა ინტერვენციები იყო ფრაგმენტული და მეტწილად, რეგიონული განვითარებისკენ მიმართული, თუმცა არ მიღებულა რეფორმის განხორციელების გრძელვადიანი განმსაზღვრელი დოკუმენტი და შესაბამისი სამოქმედო, რომელიც მიზნად უნდა ისახავდეს ადგილობრივ დონეზე კარგი მმართველობის უზრუნველყოფას.

მიუხედავად მიღწეული პროგრესისა, უკანასკნელი ანგარიში<sup>36</sup> საქართველოში ადგილობრივ და რეგიონულ დემოკრატიასთან დაკავშირებით, გამოქვეყნდა 2013 წლის მარტში, ევროპის საბჭოს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებების ორგანოთა კონგრესის მონიტორინგის კომიტეტის მიერ, რომელმაც განსაზღვრა რამდენიმე საკითხი, რაც მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, მაგალითად: ადგილობრივი ხელისუფლების ფინანსური შესაძლებლობების გაძლიერება. ანგარიში რეკომენდაციას უწევს საქართველოს ხელისუფლებას გაზარდოს ადგილობრივი თვითმმართველობების ფინანსური შესაძლებლობები და გააუმჯობესოს ფინანსური გათანაბრების პროცედურა.

მონიტორინგის კომიტეტის რეკომენდაციები შეიძლება შეჯამდეს შემდეგნაირად:

- დარგობრივი კანონმდებლობის ჰარმონიზება;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფინანსური ავტონომიის გაძლიერება;
- თვითმმართველი ორგანოების ეფექტური ფუნქციონირებისათვის საჯარო მოხელეთა შესაძლებლობების ზრდა.
- „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის“ იმ პუნქტების რატიფიცირება, რომელზეც საქართველო არ არის მიერთებული.

<sup>35</sup> საქართველოს კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ (2008) საკანონმდებლო მაცნე:  
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/19132>

<sup>36</sup> *Local and Regional Democracy in Georgia*. (2013). Council of Europe:

[https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?Ref=CG\(24\)10&Language=lanEnglish&Ver=original&Site=Congress&BackColorInternet=C3C3C3&BackColorIntranet=CACC9A&BackColorLogged=EFEA9C#P870\\_145006](https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?Ref=CG(24)10&Language=lanEnglish&Ver=original&Site=Congress&BackColorInternet=C3C3C3&BackColorIntranet=CACC9A&BackColorLogged=EFEA9C#P870_145006)

აქვე უნდა აღიშნოს, რომ საქართველოს პარლამენტმა 2014 წელს მიიღო „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, სადაც გათვალისწინებული იქნა რიგი შენიშვნები, რომელიც გამოთქმული იყო ევროპის საბჭოს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებების ორგანოთა კონგრესის მონიტორინგის კომიტეტის მიერ.“

## ამოცანები

### 6.1 ადგილობრივ დონეზე კარგი მმართველობის უზრუნველყოფისთვის ახალი სტრატეგიული და საოპერაციო ჩარჩო-დოკუმენტის შემუშავება

მოცემული საჯარო მმართველობის სამოქმედო გეგმა განსაზღვრავს ადგილობრივ დონეზე დემოკრატიული მმართველობის უზრუნველყოფისთვის ახალი სტრატეგიული და საოპერაციო დოკუმენტის შემუშავების აუცილებლობას 2017 წლისთვის. სტრატეგია უნდა განსაზღვრავდეს რეფორმის სფეროს და მოიცავდეს ადგილობრივი განვითარებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებს. ამასთან ერთად, უნდა პასუხობდეს ყველა იმ გამოწვევას, რომელიც გამოვლენილია „დეცენტრალიზაციისა და თვითმმართველობის განვითარების 2013-2014 წლების სტრატეგიის ძირითადი პრინციპების“ დოკუმენტში და მონიტორინგის კომიტეტის ანგარიშში. აგრეთვე, უნდა მოიცავდეს სხვა საკითხებს, რომლებიც გამოიკვეთება უფრო სიღრმისეული სიტუაციური ანალიზის შედეგად.

### 6.2 საჯარო მოხელეთა შესაძლებლობების განვითარება, თვითმმართველი ერთეულების ეფექტური ფუნქციონირების მიზნით

ინსტიტუციური შესაძლებლობების განმტკიცება ადგილობრივ დონეზე, მჭიდროდ უკავშირდება ადგილობრივ თვითმმართველობებში ადამიანური კაპიტალის გაძლიერებას. ადმინისტრაციული, ტექნიკური და სოციალური ფუნქციების შესრულების ხარისხი პირდაპირ არის დამოკიდებული თვითმმართველობებში დასაქმებულ მოხელეთა კვალიფიკაციაზე. ახალი თვითმმართველობის კოდექსის თანახმად, მუნიციპალიტეტები ვალდებული არიან, ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეთა სწავლება-გადამზადებისთვის მიმართონ შრომის ანაზღაურებისათვის გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებების საერთო მოცულობის არანაკლებ 1 პროცენტისა.

„ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოსამსახურეთა უწყვეტი სწავლების კონცეფცია“, განსაზღვრავს ძირითად მიმართულებებს უწყვეტი სწავლების ეფექტური და მდგრადი სისტემის ჩამოყალიბებისთვის. უწყვეტი სწავლება მოიაზრებს ინსტიტუციების, პროცესების, პროცედურების და საგანმანათლებლო-მეთოდური ინსტრუმენტების ერთობლიობას, რაც შესაძლებელს ხდის საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის მუდმივ განვითარებას. კონცეფცია და უწყვეტი სწავლების სისტემა, შესაბამისი განკარგულებით, ასევე ითვალისწინებს საკონსულტაციო საბჭოს დაფუძნებას და ცალკეული სასწავლო მოდულების სტანდარტების შემუშავებას.

## ძირითადი ინდიკატორები

- 2017-2020 წლების ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის სტრატეგიის დამტკიცება
- ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა ტრენინგის სისტემის არსებობა

## სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი

---

როგორ უკვე აღინიშნა წინამდებარე დოკუმენტის სამოქმედო გეგმაზე მუშაობა ნულიდან არ დაწყებულა. სხვადასხვა დაგეგმვის დოკუმენტები, კერძოდ: „ღია მმართველობის პარტნიორობის სამოქმედო გეგმა“, „ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა“, „ციფრული საქართველო: ელექტრონული საქართველოს სტრატეგია და სამოქმედო გეგმა“, „საჯარო ფინანსების მართვის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა“ კონსოლიდირებულ იქნა ერთიან სამოქმედო გეგმაში. აღნიშნულის მიზანს წარმოადგენდა დუბლირების თავიდან აცილება. სამოქმედო გეგმები პოლიტიკის დანარჩენი სფეროებისთვის, როგორცაა პოლიტიკის დაგეგმვა და კოორდინაცია, მომსახურების მიწოდებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ნაწილი, შეიქმნა გამოვლენილი პრობლემებისა და დაგეგმილი ამოცანების ანალიზის საფუძველზე. წინამდებარე სამოქმედო გეგმა ფარავს აქტივობებს მხოლოდ 2015-2016 წლებისთვის.

ქვემოთ მიმოხილულია „საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევის“ თითოეული კომპონენტისათვის აქტივობების განსაზღვრისა და წინამდებარე გზამკვლევის ერთიან სამოქმედო გეგმაში ინტეგრირების მეთოდოლოგია და პროცესი:

**პოლიტიკის დაგეგმვა და კოორდინაცია** -პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის კომპონენტი და მისი სამოქმედო გეგმა შემუშავდა მთავრობის ადმინისტრაციის სამთავრობო გეგმებისა და ინოვაციების სამსახურის მიერ. განხორციელდა არსებული სიტუაციის ანალიზი, რომელმაც გამოავლინა რიგი პრობლემები პოლიტიკის შეფასების, დაგეგმვისა და კოორდინაციის სფეროში. მათი მოგვარების მიზნით, განისაზღვრა შესაბამისი ამოცანები და აქტივობები. სამოქმედო გეგმა გაიწერა 2015-2017 წლებისთვის, რომელიც შედგება დეტალური და პროგნოზირებადი ბიუჯეტისგან. ამდენად, გამონაკლისის სახით, „საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევის“ სამოქმედო გეგმაში შესულია აქტივობები, რომლებიც 2017 წელს დასრულდება.

**ადამიანური რესურსების მართვა** - ადამიანური რესურსების მართვის სამოქმედო გეგმა შემუშავდა საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ. HRM სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობები გამომდინარეობს საჯარო სამსახურის რეფორმის კონცეფციიდან, რომელიც წარმოადგენს საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ შემუშავებულ დოკუმენტს. საჯარო სამსახურის რეფორმის კონცეფციას არ გააჩნია განხორციელების ვადები; მიუხედავად ამისა, საჯარო სამსახურის ბიურო და მთავრობის ადმინისტრაცია წინამდებარე დოკუმენტის ფარგლებში აწესებენ თითოეული აქტივობის განხორციელების ვადებს. დამატებით, HRM სამოქმედო გეგმის რამდენიმე აქტივობა აღებულია თავად საჯარო სამსახურის ბიუროს სამოქმედო გეგმიდან, ბიუროს ერთ წლიანი დოკუმენტიდან, რომელიც აწესებს ამოცანებს და აქტივობებს კონკრეტული დროის მონაკვეთისათვის.



**ანგარიშვალდებულება** - ანგარიშვალდებულების სამოქმედო გეგმა წარმოადგენს 2015-2016 წლების ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის და OGP-ის 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის კომპილაციას. კონცეპტუალურად, ანგარიშვალდებულების კომპონენტის სამოქმედო გეგმა არ არის ახალი. თუმცა, სტრუქტურა, ხარჯთაღრიცხვა და აქტივობების ვადები მნიშვნელოვნად დაკორექტდა. ვინაიდან OGP-ის სამოქმედო გეგმა განსაზღვრული იყო 2014-2015 წლებისთვის, აქტივობები, რომელიც უნდა განხორციელებულიყო 2014 წელს, ამოღებულ იქნა. ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმა შემუშავდა ეროვნული ანტიკორუფციული საბჭოს მიერ 2015 წლის 4 თებერვალს.

**საჯარო ფინანსების მართვა** - საჯარო მმართველობის რეფორმისთვის საჯარო ფინანსების მართვის სამოქმედო გეგმა შემუშავდა ფინანსთა სამინისტროს მიერ. აქტივობები, რომელიც გათვალისწინებულია „საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევის“ 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმით, სრულად ეფუძნება ფინანსთა სამინისტროს საჯარო ფინანსების მართვის 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმას. თუმცა, ფინანსთა სამინისტროს საჯარო ფინანსების მართვის 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმა მოიცავს ამოცანების ფართო სპექტრს, და შესაბამისად არ იქნა გადმოტანილი ყველა აქტივობა, აღნიშნული სტრატეგიული დოკუმენტების განსხვავებული მიზნობრიობის გამო.

**მომსახურების მიწოდება** - მომსახურების მიწოდების მიმართულების სამოქმედო გეგმა არსებითად ეფუძნება „ციფრული საქართველო: ელექტრონული საქართველოს“ სტრატეგიასა და 2014-2018 წლების სამოქმედო გეგმას“. გარდა ამისა, გამოვლენილი პრობლემების ანალიზის საფუძველზე, და OECD/SIGMA-ს „საჯარო მმართველობის პრინციპების“ გათვალისწინებით, დამატებულ იქნა შესაბამისი აქტივობები. აქტივობების განხორციელება 2015-2016 წლებში. მომდევნო პერიოდის სამოქმედო გეგმა შემუშავდება მიღწეულ პროგრესზე დაყრდნობით. შესრულებული სამოქმედო გეგმის შეფასება განხორციელდება 2016 წლის ბოლოს და მასზე დაყრდნობით შემუშავდება ახალი სამოქმედო გეგმა 2017-2020 წლებისთვის.

**ადგილობრივი თვითმმართველობა** - აღნიშნული პოლიტიკის მიმართულების სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს მხოლოდ ორ აქტივობას. პირველი აქტივობის განხორციელება, რომელიც ითვალისწინებს ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულების თანამშრომლებისთვის შესაძლებლობების გაძლიერებას, 2015 წლიდან დაიწყება. მეორე, აქტივობის დაწყება, რომელიც არის ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულების რეფორმირებისთვის ახალი პოლიტიკის დოკუმენტის მომზადება, იგეგმება 2017 წელს. აღნიშნულის მიზეზს წარმოადგენს „2015-2017 წლების საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამის“ პოლიტიკის დოკუმენტის არსებობა.

## დაფინანსების წყაროები და ფინანსური გაანგარიშების მეთოდოლოგია

---

საჯარო მმართველობის რეფორმის სამოქმედო გეგმის განხორციელება დაფინანსდება სხვადასხვა სახსრებით - სახელმწიფო ბიუჯეტით, ევროკავშირის პირდაპირი (მაგ: საბიუჯეტო დახმარება) ან არაპირდაპირი (მაგ: ტექნიკური დახმარება) მხარდაჭერით.

სამოქმედო გეგმა გაწერილია 2015-2016 წლებზე. შესაბამისად მოცემულია ამ პერიოდში განსახორციელებელი აქტივობების ხარჯთაღრიცხვა. 2016 წლის ბოლოსთვის, შემუშავდება განახლებული სამოქმედო გეგმა მომდევნო წლების ხარჯთაღრიცხვასთან ერთად. მიუხედავად იმისა, რომ სამოქმედო გეგმა ფარავს რამდენიმე ამოცანას, რომელთა აქტივობები სავარაუდოდ დასრულდება 2016 წლის შემდეგ, აღნიშნული აქტივობების ხარჯები გაწერილია მხოლოდ 2015-2016 წლებზე.

ხარჯების გაანგარიშების პროცესი დაეფუძნება აღმავალ მიდგომას. თითოეულ კომპონენტზე პასუხისმგებელმა უწყებამ აღრიცხა მისი საქმიანობის განსახორციელებელი ხარჯები, სამთავრობო გეგმებისა და ინოვაციების სამსახურის მიერ შემუშავებული მეთოდური მითითებების გათვალისწინებით.

ხარჯები დაანგარიშდა ინდივიდუალურად, სამოქმედო გეგმის თითოეული ელემენტისთვის. ხარჯი დათვლილი იქნა წინასწარ შემუშავებული დოკუმენტის მიხედვით, რომელშიც მოცემული იყო სტანდარტიზებული ფასების სია, მაგალითად ტრენინგის, კონფერენციის ჩატარების, პუბლიკაციების და სხვა სერვისების.


წინამდებარე სამოქმედო გეგმისთვის შედგა წინასწარი შეთანხმება სამინისტროებს, პასუხისმგებელ უწყებებსა და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას შორის, რომ ხარჯთაღრიცხვის დროს მომხდარიყო მხოლოდ დამატებითი ხარჯების შეფასება, რომელიც წარმოიქმნებოდა აქტივობის განხორციელების შედეგად. კერძოდ, აღნიშნული გაანგარიშება არ ითვალისწინებს სამთავრობო სტრუქტურების ადამიანური რესურსების ადმინისტრაციულ ხარჯებს. შესაბამისად, გამოითვლებოდა მხოლოდ დამატებითი ხარჯები, რომელიც აუცილებელია ცალკეული აქტივობების შესასრულებლად. აქედან გამომდინარე, არის მრავალი აქტივობა, რომლის შესრულებაც შესაძლებელია მხოლოდ არსებული ადმინისტრაციული რესურსით და დამატებით ხარჯებს არ საჭიროებს.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამთავრობო გეგმებისა და ინოვაციების სამსახურმა ჩაატარა სპეციალური შეხვედრები და სემინარები იმ სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენლებთან, რომლებიც ჩართულნი იყვნენ „საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევის“ სამოქმედო გეგმის შემუშავებაში. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ ჩატარდა ინტენსიური ტრენინგები, რათა მომხდარიყო ცოდნის გაზიარება და სხვა დაწესებულებების ხელშეწყობა თავიანთი აქტივობების ხარჯების შეფასებასთან დაკავშირებით. მთლიანობაში 20-მდე შეხვედრა ჩატარდა.


**გრაფა 1** უჩვენებს დამატებითი (არა ადმინისტრაციული) ფინანსური რესურსების საჭიროებას სფეროების მიხედვით 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმის განსახორციელებლად და ასახავს სფეროთა პროცენტულ თანაფარდობას. სერვისების მიწოდება შეადგენს საერთო ხარჯის 67%-ს, საიდანაც თითქმის მთლიანი ოდენობა განსაზღვრულია ელ-საქართველოსათვის, კერძოდ ITC სექტორში დაგეგმილი ინვესტიციებისათვის. თანხების 21% დაიხარჯება ანგარიშვალდებულების სფეროსათვის, რომელიც მოიცავს აქტივობების ყველაზე დიდ რაოდენობას. საჯარო ფინანსებისათვის გაანგარიშებულია საერთო ღირებულების 10%, ხოლო პოლიტიკის სხვა სფეროები ჯამში 2%-ს შეადგენს.

მთლიანი ბიუჯეტი, რომელიც საჭიროა საჯარო მმართველობის რეფორმის 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმის განსახორციელებლად 108 592 571.00 ლარს შეადგენს. როგორც ზემოთ აღინიშნა, სამოქმედო გეგმა განხორციელდება სხვადასხვა ფინანსური სახსრების მობილიზებით. **მე-2 გრაფა** აჩვენებს ხარჯების განაწილებას დაფინანსების წყაროს მიხედვით. ხარჯების 64% საჯარო მმართველობის რეფორმისთვის დაიფარება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. დაახლოებით 6% უკვე არსებული შეთანხმებების თანახმად, დაფინანსდება დონორი ორგანიზაციების მიერ. ამ ეტაპზე, საერთო ოდენობის 30% ქმნის ფინანსურ დეფიციტს და მოითხოვს დამატებითი თანხების მობილიზებას, ძირითადად, დონორი ორგანიზაციების მხრიდან.

**გრაფა 1: ფინანსური რესურსების საჭიროება სფეროების მიხედვით**



გრაფა 2: დაფინანსების წყაროების თანაფარდობა



საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია პასუხისმგებელია საჯარო მმართველობის რეფორმის სამოქმედო გეგმის განხორციელებისთვის საჭირო ფინანსების სრული ოდენობის შესახებ ინფორმაციის წარდგენაზე ფინანსთა სამინისტროსთვის; რეფორმის განსახორციელებლად საჭირო ბიუჯეტი ასახული უნდა იყოს ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტსა და წლიურ სახელმწიფო ბიუჯეტში.

### მართვისა და კოორდინაციის მექანიზმი

ადმინისტრაციულ დონეზე მართვისა და კოორდინაციის მექანიზმი განხორციელდება სპეციალურად შექმნილი საჯარო მმართველობის რეფორმის საბჭოს მიერ, რომელიც ყალიბდება საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით. აღნიშნულ საბჭოს უხელმძღვანელებს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი. საბჭო შედგება შემდეგი სამინისტროების მინისტრის მოადგილეებისგან: ფინანსთა სამინისტრო, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო, სახელმწიფო მინისტრის აპარატი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. გარდა ამისა, საჯარო სამსახურის ბიუროს ხელმძღვანელი მოიაზრება საჯარო მმართველობის რეფორმის საბჭოს მუდმივ წევრად. ასევე, საბჭოს შემადგენლობაში შეიძლება შევიდნენ მთავრობის ადმინისტრაციის შესაბამისი წარმომადგენლები.

საჯარო მმართველობის რეფორმის საბჭო შეიკრიბება სამ თვეში ერთხელ მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოწვევით და განიხილავს იმ პერიოდისთვის მიღწეულ პროგრესს და განსაკუთრებულ ან პრობლემატურ საკითხებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა „საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევისა“ და მისი სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში. იმ შემთხვევაში, თუ საჯარო მმართველობის რეფორმის საბჭო ვერ შეთანხმდება ან ვერ გადაწყვეტს საკითხს, საბჭოს თავმჯდომარე აღნიშნულ საკითხს მოსაგვარებლად წარუდგენს საქართველოს პრემიერ-მინისტრს.

საჯარო მმართველობის რეფორმის საბჭოს ყველა შეხვედრა უნდა იქნას დოკუმენტირებული მთავრობის ადმინისტრაციის მიერ. აუცილებელია მოხდეს თემების განხილვა, მიღებული გადაწყვეტილებების ასახვა და ანგარიშების წარმოება.

საოპერაციო დონეზე საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამთავრობო გეგმებისა და ინოვაციების სამსახური უზრუნველყოფს „საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევისა“ და მისი სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგს. მისი ამოცანა იქნება საჯარო მმართველობის რეფორმის საბჭოს ანალიტიკური და ორგანიზაციული მხარდაჭერა, საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულება, ასევე დროული მონიტორინგის წარმოება და ანგარიშების მიწოდება საბჭოსთვის.

საჭიროების შემთხვევაში, საჯარო მმართველობის საბჭო მოიწვევს პარლამენტის წარმომადგენლებს და იმ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც მოღვაწეობენ საჯარო მმართველობის სფეროში. მათ მიერ მოხდება იდეების წარმოდგენა ან ხედვებისა და დაკვირვებების გაზიარება იმ პროგრესთან დაკავშირებით, რომელიც მიღწეულ იქნა „საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევისა“ და მისი სამოქმედო გეგმის განხორციელებისას. ამგვარი მიდგომა უზრუნველყოფს საზოგადოების თანამონაწილეობას და საზოგადოებრივ ზედამხედველობას.

## **მონიტორინგის, ანგარიშებისა და შეფასების სისტემა**

---

„საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევის“ მონიტორინგის, ანგარიშებისა და შეფასების სისტემების მიზანია ყველა ჩართული და დაინტერესებული მხარისთვის დროული ინფორმაციის მიწოდება შესრულების პროგრესის თაობაზე.

### **ანგარიშგება**

ყველა სამინისტრომ და მისმა საქვეუწყებო დაწესებულებამ (რომელიც ჩართულია „საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევისა“ და მისი სამოქმედო გეგმის განხორციელებაში), საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მოთხოვნის საფუძველზე, უნდა უზრუნველყოს საჭირო ინფორმაციის წარმოდგენა მონიტორინგისა და შეფასების რეგულარულად განსახორციელებლად.

„საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევის“ სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ ანგარიშები მომზადდება მთავრობის ადმინისტრაციის მიერ და ყოველწლიურად წარედგინება საქართველოს პრემიერ-მინისტრს. ინფორმაცია სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგად

მიღწეულ პროგრესთან დაკავშირებით შეგროვდება წელიწადში ორჯერ, რათა მოხდეს ისეთი შეფერხების ან პრობლემის დროული იდენტიფიკაცია, რომელიც მოითხოვს საჯარო მმართველობის რეფორმის საბჭოს ან საქართველოს პრემიერ-მინისტრის რეაგირებას. საჭიროების შემთხვევაში მთავრობის ადმინისტრაცია შესაბამისი უწყებებიდან ინფორმაციას საჯარო მმართველობის რეფორმის განხორციელების თაობაზე გამოითხოვს ვადაზე ადრე.

### მონიტორინგი

„საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევის“ მონიტორინგი ხორციელდება როგორც მისი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ცალკეული აქტივობების განხორციელების საფუძველზე, ისე იმ პროგრესის შეფასებით, რომელიც განპირობებულია პოლიტიკის მიზნების მიღწევით, თითოეული პოლიტიკის ამოცანისთვის განსაზღვრული ძირითადი ინდიკატორების გაზომვის მეშვეობით.

შესრულების ინდიკატორების შესახებ მონაცემთა შეგროვების უზრუნველყოფისთვის, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, პროცესში ჩართულ სხვა უწყებებთან ერთად მოამზადებს ე.წ. ინდიკატორების პასპორტს (“indicator passport”) თითოეული მაჩვენებლისთვის. აღნიშნული უზრუნველყოფს მაჩვენებლების შესახებ მონაცემების მუდმივ შეგროვებას და მონიტორინგის და შეფასების მიზნებისთვის მათ გამოყენებას. საჭიროების შემთხვევაში, ინფორმაცია წინა მონაცემებთან დაკავშირებით შეგროვდება, რათა მოხდეს განვითარების ტენდენციების ასახვა.

ინფორმაცია ინდიკატორების შესრულების შესახებ გამოყენებული იქნება „საჯარო მმართველობის გზამკვლევის“ შესრულების განხორციელების წლიურ ანგარიშებში.

### შეფასება

„საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევის“ შესრულების შუალედური შეფასება განხორციელდება 2016 წლის ბოლოს, რომლის შედეგებზე დაყრდნობით შემუშავდება 2017-2020 წლების სამოქმედო გეგმა.

„საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევის“ შესრულების საბოლოო შეფასება განხორციელდება 2020 წლის ბოლოს, იმისთვის რომ შემუშავდეს საჯარო მმართველობის სფეროს მარეგულირებელი ახალი დაგეგმვის დოკუმენტი.

როგორც შუალედური, ასევე საბოლოო შეფასება განხორციელდება დამოუკიდებლად, ტენდერის საფუძველზე გამოვლენილი მესამე პირების მიერ. საქართველოს მთავრობისთვის წარდგენამდე, შუალედური და საბოლოო შეფასების დოკუმენტებს განიხილავს საჯარო მმართველობის საბჭო.

საქართველოს მთავრობის მიერ მათი დამტკიცების შემდეგ, ყველა ანგარიში და შეფასების დოკუმენტი საჯაროდ ხელმისაწვდომი იქნება საქართველოს მთავრობის ვებგვერდზე.

### საზოგადოების ჩართულობა

„საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევის“ შემუშავების პროცესში უზრუნველყოფილი იყო დაინტერესებული მხარეების ჩართულობა როგორც სამთავრობო ასევე არასამთავრობო სექტორიდან, რამაც მნიშვნელოვანწილად გააუმჯობესა დოკუმენტის ხარისხი და შინაარსი. აღნიშნული პრაქტიკის გაგრძელება მომავალშიც იგეგმება; „პოლიტიკის დაგეგმვის სისტემის რეფორმის სტრატეგიის“ დამტკიცების შემდეგ შეიქმნება ჩართულობის

სპეციფიკური მექანიზმები, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს საჯარო მმართველობის რეფორმის მართვას, კოორდინაციასა და განხორციელებას. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ყველა დაინტერესებული მხარის მონიტორინგის პროცესში მონაწილეობას და მიღწეული პროგრესის შეფასებას დადგენილი ინდიკატორების მიხედვით.

## დანართები

### დანართი 1: საჯარო მმართველობის სფეროების სტრატეგიული დოკუმენტები

საჯარო მმართველობის რეფორმის სფეროები	შესაბამისი დოკუმენტები	ხელმძღვანელი დაწესებულება	ანოტაცია
პოლიტიკის შემუშავება და კოორდინაცია	პოლიტიკის დაგეგმვის სისტემის რეფორმის სტრატეგია (სამუშაო დოკუმენტი)	მთავრობის ადმინისტრაცია	დოკუმენტში მიმოხილულია პოლიტიკის დაგეგმვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობა, დაგეგმვის დოკუმენტების სახეები და მათი ხარისხობრივი მაჩვენებლები, პოლიტიკის დაგეგმვის ინსტიტუციური შესაძლებლობები, ქვეყანაში მოქმედი ანგარიშგების, მონიტორინგისა და შეფასების სისტემები; აღნიშნული კომპონენტების ანალიზის საფუძველზე გამოკვეთილია პრობლემები, და მოცემულია მათი გადაჭრის შესაბამისი ამოცანები. ასევე, დოკუმენტი მოიცავს პოლიტიკის დაგეგმვის სისტემის რეფორმისათვის შემუშავებულ სამოქმედო გეგმას.
საჯარო სამსახური და ადამიანური რესურსების მართვა	საჯარო სამსახურის რეფორმის კონცეფცია და სამოქმედო გეგმა	მთავრობის ადმინისტრაცია საჯარო სამსახურის ბიურო	საჯარო სამსახურის ბიურომ შეიმუშავა საჯარო სამსახურის რეფორმის კონცეფცია, რომელიც დამტკიცდა მთავრობის 2014 წლის 19 ნოემბრის №627 დადგენილებით. საჯარო სამსახურის რეფორმის კონცეფცია კომპლექსურ და მრავალგანზომილებიან დონეზე ეხმაურება პრობლემებს ადამიანური რესურსების მართვის სფეროში. აღნიშნული მოიცავს 10 სფეროს: საჯარო სამსახურის განმარტება, საჯარო სამსახურის სფერო, მართვის ცენტრალური სისტემა, საჯარო სამსახურის კოორდინაცია და კონტროლი, საჯარო სამსახურის სისტემაში შესვლა, კლასიფიცირების სისტემა, შრომის ანაზღაურების



			სისტემა, საჯარო სამსახურის მართვა (შეფასება და ატესტაცია, დაწინაურება და კარიერული ზრდა, სამართლებრივი და სოციალური გარანტიები), საჯარო მოხელეთა დისციპლინური პასუხისმგებლობა, საჯარო მოხელეთა ტრენინგი და პროფესიული განვითარება, გენდერული თანასწორობა და საჯარო სამსახურის სისტემა.
ანგარიშვალდებულება	„ღია მმართველობა საქართველოს 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმა“	იუსტიციის სამინისტრო	ანგარიშვალდებულების საკითხს ფარავს რამდენიმე სტრატეგიული დოკუმენტი: „ღია მმართველობა საქართველოს (OGP) 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმა“ <sup>37</sup> , „ციფრული საქართველო – ელ-საქართველოს სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2014-2018 წლებისთვის“, „საჯარო ფინანსების მართვის 2014 წლის სტრატეგია“, „2010 წლის ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგია“ (NAS) და მოქმედი PAR გეგმა. აღნიშნულ საკითხზე პასუხისმგებელი უწყებაა იუსტიციის სამინისტრო მთავრობის ადმინისტრაციასთან, ფინანსთა სამინისტროსა და სხვა საჯარო უწყებებთან ერთად.  OGP-ის 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმა შედგება 26 ვალდებულებისგან, რომელიც უნდა განხორციელდეს 16 პასუხისმგებელი უწყების მიერ. ვალდებულებები სრულად ასახავს OGP-ის ღირებულებებსა და პრინციპებს, როგორცაა: გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება, მოქალაქეთა მონაწილეობა, ტექნოლოგიები და ინოვაცია. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებები პასუხობს OGP-ის
	„ციფრული საქართველო – ელ-საქართველოს სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2014-2018 წლებისთვის“	იუსტიციის სამინისტრო	
	„საჯარო ფინანსების მართვის 2014 წლის სტრატეგია“	ფინანსთა სამინისტრო	
	ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგია და 2015-2016 წლების ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმა	იუსტიციის სამინისტრო	
	მოქმედი PAR გეგმა.	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	

<sup>37</sup> <http://www.opengovpartnership.org/sites/default/files/OGP%20AP%20GEORGIA.pdf>

			<p>შემდეგ გამოწვევებს: საჯარო მომსახურების გაუმჯობესება, საზოგადოების მთლიანობის განმტკიცება, საჯარო რესურსების უფრო ეფექტური მართვა და უსაფრთხო გარემოს შექმნა.</p> <p>„ციფრული საქართველო: ელ-საქართველოს სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2014-2018 წლებისთვის“<sup>38</sup> ასევე ფარავს ანგარიშვალდებულების საკითხებს. აღნიშნული ასახავს თანამედროვე საქართველოსკენ მიმავალ გზას და უზრუნველყოფს ყოვლისმომცველ სისტემას სოციალური ცვლილებებისთვის, რომელიც განპირობებულია საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) მიერ. თემატურ პრიორიტეტებს წარმოადგენს: ელ-სერვისები, ელ-მონაწილეობა და ღია მმართველობა, ელ-ჯანდაცვა, საჯარო ფინანსების მართვის სისტემა, ელ-ბიზნესი, ICT-HUB საქართველო, ინფრასტრუქტურა, ელ-უსაფრთხოება, უნარები და ელ-ჩართულობა, რომელიც ხელს უწყობს მართვას (სტრატეგიის განხორციელების), ინფორმირებულობას (ელ-სერვისებთან და სარგებელთან დაკავშირებით). ანგარიშვალდებულება განიხილება გამჭვირვალობისა და ღია მმართველობის ნაწილში, რომელიც მიზნად ისახავს მთავრობისა და საჯარო სექტორთან დაკავშირებული ინფორმაციის, მონაცემებისა და მოქმედებების გამჭვირვალობის უზრუნველყოფას.</p> <p>„2015-2016 წლის ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგია“ მიზნად ისახავს ურთიერთსექტორული</p>
--	--	--	---

<sup>38</sup> ციფრული საქართველო, ელ საქართველოს სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2014-2017. (2014). მონაცემთა გაცვლის სააგენტო:  
[http://www.dea.gov.ge/uploads/eGeorgia%20Strategy%20FINAL%20\\_Geo\\_.doc](http://www.dea.gov.ge/uploads/eGeorgia%20Strategy%20FINAL%20_Geo_.doc)

			<p>კორდინაციის ეფექტური მექანიზმის შექმნას კორუფციის პრევენციის მიზნით, რომელიც უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის ღიაობას და ხელმისაწვდომობას, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში მოქალაქეთა ჩართულობას, საზოგადოების განათლებას და ინფორმირებულობის დონის ამაღლებას კორუფციის პრევენციასთან დაკავშირებით, ითვალისწინებს ასევე კორუფციის პრევენციას სამართალდამცავ ორგანოებში, კორუფციასთან დაკავშირებული დანაშაულის გამოძიებას, კორუფციის პრევენციას სასამართლო სისტემაში, გამჭვირვალობასა და სახელმწიფო შესყიდვების და საჯარო ფინანსების სფეროში კორუფციის რისკების შემცირებას, კორუფციის პრევენციას საბაჟო და საგადასახადო სისტემებში, ჯანდაცვისა და სოციალურ სექტორში, პოლიტიკური კორუფციის პრევენციას, კორუფციის პრევენციას თავდაცვის სექტორში, კორუფციის რისკების შემცირებას მარეგულირებელ ორგანოებში. ანგარიშვალდებულების საკითხი იფარება მრავალი ნაწილით, მაგალითად, პრიორიტეტი „საჯარო ინფორმაციის ღიაობა და ხელმისაწვდომობა, მოქალაქეთა ჩართვა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში“ მიზნად ისახავს მაღალი ხარისხის გახსნილობას და ანგარიშვალდებულებას საჯარო სერვისებში ინფორმაციის თავისუფლების შესახებ მარეგულირებელი აქტების გადახედვის გზით და მათი პრაქტიკაში იმპლემენტაციის უზრუნველყოფას, ასევე მოქალაქეთა ჩართვას გადაწყვეტილების მიღების პროცესში.</p> <p>ანტიკორუფციული სტრატეგია და მისი სამოქმედო გეგმა შედგება 13 პრიორიტეტული საკითხისგან. მიზანი</p>
--	--	--	--

			<p>და აქტივობა, რომელიც განსაზღვრულია თითოეული სტრატეგიული პრიორიტეტისთვის ორიენტირებულია კორუფციის რისკების შემცირებაზე, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდაზე, არსებული ანტიკორუფციული მექანიზმების განმტკიცებაზე, საჯარო ინფორმაციასთან წვდომაზე, მოქალაქეთა ჩართულობაზე და პრიორიტეტული საკითხების ერთიანობაზე. უფრო მეტიც, აღნიშნული 13 პრიორიტეტიდან, რომელსაც ითვალისწინებს ანტიკორუფციული სტრატეგია და მისი სამოქმედო გეგმა, ერთ-ერთ საკითხს წარმოადგენს - ღიაობა, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და მოქალაქეთა ჩართულობა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში. აღნიშნულის ძირითადი მიზანია საჯარო სექტორში მაღალი დონის ღიაობისა და გამჭვირვალობის მიღწევა, ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონმდებლობის გადახედვისა და მისი განხორციელების გზით, ასევე მოქალაქეთა მონაწილეობა მთავრობის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.</p>
მომსახურების მიწოდება	„ღია მმართველობა საქართველოს 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმა“	იუსტიციის სამინისტრო	<p>მომსახურების მიწოდების საკითხი ნაწილობრივ გათვალისწინებულია OGP-ის სამოქმედო გეგმის გამოწვევით - <b>საჯარო მომსახურების გაუმჯობესება</b>, რომელიც მოიცავს 8 ვალდებულებას, რომლის მიზანია, მომხმარებელთან პირდაპირი კომუნიკაციით და მოქალაქისგან მიღებული გამოხმაურების მეშვეობით, მარტივი და მომხმარებელზე ორიენტირებული საჯარო მომსახურების მიწოდება, ელ-მმართველობის სისტემის შემუშავება ადგილობრივ დონეზე და ღია მონაცემებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.</p> <p>„ელ-საქართველო“ ითვალისწინებს სწორ და უფრო ეფექტურ საჯარო სექტორს, რომელიც გთავაზობს ინტეგრირებულ, უსაფრთხო და მაღალი ხარისხის ელ-მომსახურებას. სტრატეგიის ერთ-ერთ მისიას</p>
	„ციფრული საქართველო – ელ-საქართველოს სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2014-2018 წლებისთვის“	იუსტიციის სამინისტრო	
	„საჯარო ფინანსების მართვის 2014 წლის სტრატეგია“	ფინანსთა სამინისტრო	
	ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგია და 2015-2016 წლების ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმა	იუსტიციის სამინისტრო	

			<p>წარმოადგენს მოთხოვნის სტიმულირება და მოქალაქეთა და ბიზნესის მიერ ელ-მომსახურებების ფართო გამოყენება, მაღალი ხარისხის, სწორი, ეფექტური, სანდო და დაცული მომსახურების მიწოდება. პრიორიტეტი მიენიჭება მთავრობის მიერ მოქალაქეთათვის მომსახურების მიწოდებას და სერვისების ხელმისაწვდომობას my.gov.ge პორტალის მეშვეობით. თუმცა ასევე, აღსანიშნავია ელ-მომსახურებების გაზრდილი ხელმისაწვდომობა ქვეყნის მასშტაბით, იუსტიციის სახელში, საზოგადოებრივ ცენტრებსა და ბიბლიოთეკებში არსებული თვითმომსახურების კიოსკების მეშვეობით და ასევე კომერციული არხებისა, როგორცაა გადახდის ჯიხურები.</p> <p>არსებული PAR გეგმა ორიენტირებულია მომსახურების განვითარების პოლიტიკასა და ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაზე. სამთავრობო სერვისების გაუმჯობესების მიზანია ფინანსურად ხელმისაწვდომი, მოქალაქეზე ორიენტირებული და სანდო სერვისების მიწოდება.</p>
საჯარო ფინანსების მართვა	„საჯარო ფინანსების მართვის 2014 წლის სტრატეგია“	ფინანსთა სამინისტრო	<p>ფინანსთა სამინისტრომ შეიმუშავა „საჯარო ფინანსების მართვის 2014-2017 წლების სტრატეგია“, რომელიც დამტკიცდა ფინანსთა მინისტრის ბრძანებით. დოკუმენტი ასახავს პრიორიტეტულ აქტივობებს, რომელიც უნდა განახორციელოს სახელმწიფომ მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში, საჯარო ფინანსების მართვის სფეროში. საჯარო ფინანსების მართვის ძირითად ამოცანას წარმოადგენს სახელმწიფო თანხების ეფექტური განაწილება, ამავედროულად, შემოსავლების მობილიზება ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით. სტრატეგიას აქვს სამი ძირითადი პრიორიტეტული მიმართულება: ფისკალური დისციპლინის შენარჩუნება და ფისკალური პროგნოზების გაუმჯობესება, სახელმწიფო ფინანსების</p>
	ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგია და 2015-2016 წლების ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმა	იუსტიციის სამინისტრო	
	„ღია მმართველობა საქართველოს 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმა“	იუსტიციის სამინისტრო	
	„ციფრული საქართველო – ელ-საქართველოს სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2014-2018 წლებისთვის“	იუსტიციის სამინისტრო	

			<p>მართვა, ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება.</p> <p>„ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგია“ ასევე ითვალისწინებს საჯარო ფინანსების მართვის საკითხს, საჯარო ფინანსებისა და სახელმწიფო შესყიდვების სფეროში გამჭვირვალობისა და კორუფციის რისკების შემცირების უზრუნველყოფის გზით. ზემოაღნიშნული პრიორიტეტი მიზნად ისახავს სახელმწიფო შესყიდვების სისტემის დახვეწას, მაღალი დონის გამჭვირვალობის, სამართლიანი კონკურენცისა და ანტიდისკრიმინაციის უზრუნველყოფას სახელმწიფო შესყიდვებში. იგი ასევე მიზნად ისახავს, საჯარო ფინანსების მართვის და შიდა საფინანსო კონტროლის გაუმჯობესებას და ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფას საჯარო ფინანსების ხარჯვის პროცესში.</p> <p>OGP-ის ერთ-ერთ უდიდეს გამოწვევას წარმოადგენს საჯარო რესურსების ეფექტური მართვა რომელიც მიზნად ისახავს ქმედითი მექანიზმის შექმნას, საბიუჯეტო პროცესებთან დაკავშირებით საზოგადოების ინფორმირებულობისთვის, რათა მოხდეს მათი ჩართულობა ბიუჯეტის მომზადების პროცესში და საჯარო ფინანსების მართვის სისტემის გამჭვირვალობისა და ეფექტურობის უზრუნველყოფა. ვალდებულებები ასევე ორიენტირებულია ღიაობისა და ეროვნულ არქივთან ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე, დაცული დოკუმენტების კატალოგების შექმნისა და გამოქვეყნების გზით. ამ უდიდესი გამოწვევის თანახმად, მოიაზრება საჯარო შესყიდვების ელექტრონული სისტემის და ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის გაფართოება.</p> <p>საჯარო ფინანსების მართვა <b>ელექტრონული</b></p>
--	--	--	--

			<p><b>საქართველოს</b> დოკუმენტის ერთ-ერთი პრიორიტეტული სფეროა. დღემდე, საქართველომ შეიმუშავა და განახორციელა საჯარო ფინანსების მართვის ინფორმაციის მთლიანი სტრუქტურა, რომელიც ნაწილდება სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებს შორის. საჯარო ფინანსების მართვის სისტემა შედგება რამდენიმე ქვე-სისტემისგან და თითოეულ მათგანს კონკრეტული დანიშნულება აქვს. ქვე-სისტემები მოიცავს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>□ ელ-ბიუჯეტი – ბიუჯეტის დაგეგმვისა და ანგარიშგებისთვის ფინანსთა სამინისტროში;</li> <li>□ ელ-ხაზინა – სახელმწიფო ხარჯების აღრიცხვა და მართვა;</li> <li>□ ელ-DMS – ვალის მართვის ელექტრონული სისტემა, საერთაშორისო და შიდა ვალის მართვისთვის;</li> <li>□ ელ-HRMS – ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული სისტემა;</li> <li>□ RS.GE – შემოსავლების სამსახური;</li> <li>□ ელ-შესყიდვა – ცენტრალური, ერთიანი პლატფორმა საქონლის, მომსახურების ან სამუშაოს ელექტრონულად შესყიდვისთვის, როგორც აღნიშნული განსაზღვრულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონით“ (მათ შორის, მოიაზრებიან ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები);</li> <li>□ ელ-Auction.ge – ძირითადი პლატფორმა, სადაც ხელისუფლების ორგანოები ყიდვიან საქონელს კერძო და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებზე.</li> </ul> <p>იმისთვის, რომ მოხდეს ბოლო დროს განვითარებული მიღწევების შენარჩუნება და მომხმარებლებზე უფრო მეტად მორგება, საჯარო ფინანსების მართვის სისტემების (ელ-ხაზინა, ელ-ბიუჯეტი, ელ-HRMS და</p>
--	--	--	--

			<p>ელ-DMS და rs.ge) იმპლემენტაცია და ამოქმედება საჯარო ორგანიზაციებში კვლავ გაგრძელდება.</p> <p>ელ-შესყიდვების სფეროში, შენარჩუნდება საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის გამოყენების პრაქტიკა, განისაზღვრება გაუმჯობესების შესაძლებლობები, აუცილებელი ღონისძიებები იმ ახალი ინოვაციების დასანერგად, რომელიც უკავშირდება ორგანიზაციულ განვითარებას, იქნება მუდმივი, უზრუნველყოფილ იქნება ელ-სისტემის უსაფრთხოება, საქმიანობის განვითარება, განათლება სისტემის გასაუმჯობესებლად და ეფექტური ფუნქციონირება. ელ-აუქციონის სფეროში დაგეგმილია, არსებულ სისტემასთან ციფრული გადახდის სისტემის ინტეგრირება. ელ-აუქციონის ადმინისტრაციულ მოდულში უკვე დანერგილია DG-Pass ავტორიზაციის მექანიზმი, თუმცა ბანკებში ონლაინ განვადება და ელ-კომერცია, ასევე მომხმარებლის ინტერფეისის დახვეწა კვლავ ამოცანად რჩება.</p>
ადგილობრივი თვითმმართველობა	<p>ასოცირების შეთანხმების 2015 წლის სამოქმედო გეგმა;  „დეცენტრალიზაციისა და თვითმმართველობის განვითარების სტრატეგიის კონცეფცია 2013-2014 წლებისთვის“  „ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმირების, დეცენტრალიზაციისა და რეგიონული განვითარების 2014-2017 წლების სამოქმედო გეგმა“  „საქართველოს 2015-2017 წლების რეგიონული განვითარების პროგრამა (RDP)“</p>	რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	<p>რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ ასევე შეიმუშავა უმაღლესი მნიშვნელობის სტრატეგიის დოკუმენტი - „საქართველოს 2015-2017 წლების რეგიონული განვითარების პროგრამა“ (RDP). პროგრამა აგებულია იმგვარად, რომ არსებული ვითარების მიმოხილვას და გამოვლენილ ძირითად საჭიროებებს, მოჰყვება მთავარი პრიორიტეტები, შესაბამისი ღონისძიებები და სპეციალური მითითებები, პროგრამის პრიორიტეტებისა და ღონისძიებების განხორციელების მონიტორინგის ხელშეწყობისთვის. რეგიონული განვითარების პროგრამის მე-3 თავი ითვალისწინებს „საქართველოს რეგიონების განვითარების საჭიროებებს“, განსაზღვრავს 5 ძირითად</p>



			<p>საჭიროებას და მათ 5 შესაბამის პრიორიტეტს: 1. ფიზიკური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და გარემოს დაცვა, 2. მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, 3. სოფლის მეურნეობის განვითარება, 4. ტურიზმის განვითარება და 5. ადამიანური კაპიტალის და პროფესიული განათლების ინსტიტუციური შესაძლებლობების ზრდა ეროვნულ და სუბნაციონალურ დონეზე. შეიძლება დავასკვნათ, რომ აღნიშნული პრიორიტეტები გადაჯაჭვულია განათლებასთან, ეკონომიკასთან და სოფლის მეურნეობასთან, აქედან გამომდინარე, განხორციელებაზე პასუხისმგებელ ორგანოებს წარმოადგენენ მათი შესაბამისი სამინისტროები. მხოლოდ მე-5 პრიორიტეტი ითვალისწინებს ადგილობრივ საჯარო მოხელეთა გადამზადებას. საჯარო მმართველობის რეფორმის და ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების თვალსაზრისით, ზემოაღნიშნული პრიორიტეტების თანახმად, სხვა არაფერია განსაზღვრული.</p> <p>საქართველოს მთავრობამ 2013 წლის აპრილში, დაამტკიცა <b>„დეცენტრალიზაციისა და თვითმმართველობის განვითარების სტრატეგიის ძირითადი პრინციპები 2013-2014 წლებისთვის“</b>. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს თანახმად, „რეფორმის ძირითად, ფუძემდებლურ პრინციპს წარმოადგენს მჭიდრო ურთიერთობა მთავრობასა და ელექტორატს შორის და მოქალაქეთა აქტიური და უშუალო მონაწილეობა მმართველობის პროცესში“. წინამდებარე დოკუმენტი ადასტურებს რეფორმების დაწყებას 2014 წლის</p>
--	--	--	--

		<p>ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე, დოკუმენტის კონცეპტუალურ მონახაზს მოჰყვა კონკრეტული ქმედებების მატრიცა, ჯამში 19 აქტივობა, რომელიც ერთიანდებოდა 5 ამოცანის ფარგლებში, ესენია: 1) სამუშაო ჯგუფების შექმნა, 2) ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის ტექნიკური და ინფორმაციული უზრუნველყოფა, 3) შესაბამისი სამართლებრივი აქტების მომზადება, 4) მუნიციპალური ერთეულების სიისა და საზღვრების განსაზღვრა და დამტკიცება, 5) სხვა დებულებები. პოლიტიკის დოკუმენტის განხორციელების საბოლოო ანგარიში ჯერ არ შემუშავებულა, თუმცა ჩვენი ცნობით, ზოგიერთი ღონისძიება არ განხორციელებულა, აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებას შორის მიმდინარე დისკუსიების გამო.</p> <p>ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ახალი კანონი მიღებულ იქნა 2014 წელს. აღნიშნული კანონი განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შექმნისა და ფუნქციონირების, მათი ფინანსური და ქონების მართვის წესების, მოქალაქეებთან, სახელმწიფო დაწესებულებებსა და საჯარო და კერძო პირებთან ურთიერთობის, ასევე, სახელმწიფო ზედამხედველობის და ადგილობრივ თვითმმართველობებზე პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის განხორციელების წესების სამართლებრივ ჩარჩოს. კანონი ხელს უწყობს დეცენტრალიზაციის, სუბსიდიარობის და ეფექტური მმართველობის პრინციპებს და აწესებს სამართლებრივ საფუძვლებს ფართომასშტაბიანი ტერიტორიული რეფორმისთვის, საშუალო მუნიციპალიტეტების შემცირებით აახლოებს მთავრობას მოქალაქეებთან, ქმნის ახალ მუნიციპალიტეტებს ქვეყნის მასშტაბით და ამავდროულად აწესებს ახალ, დროებით წესებს</p>
--	--	---

			<p>ბიუჯეტის თავიდან გადანაწილებისთვის, ქონებისა და უფლებების გადაცემისთვის და სხვა. კანონის მომზადება და მიღება ეფუძნებოდა „დეცენტრალიზაციისა და თვითმმართველობის განვითარების სტრატეგიის 2013-2014 წლების ძირითადი პრინციპების“ პოლიტიკის დოკუმენტს.</p> <p>რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ ასევე შეიმუშავა „ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმირების, დეცენტრალიზაციისა და რეგიონული განვითარების 2014-2017 წლების სამოქმედო გეგმა“. მატრიცა ითვალისწინებს 8 ამოცანას, ესენია: 1. კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასთან, 2. მუნიციპალიტეტების ინსტიტუციური განვითარება, 3. ადამიანური რესურსების მართვის განვითარება, 4. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ოპტიმიზაცია, 5. ფისკალური დეცენტრალიზაცია, 6. მუნიციპალიტეტების ეკონომიკური შესაძლებლობების განვითარება, 7. რეგიონული განვითარება, 8. მოსახლეობის ინფორმირებულობის დონის ამაღლება ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმირების შესახებ. აღნიშნული ამოცანები ითვალისწინებს დაახლოებით 193 აქტივობას.</p>
--	--	--	--

დანართი 2: სერვისების განვითარებისა და მიწოდების პრაქტიკის კვლევა

სამინისტრო	სსიპ	მოქალაქეზე ორიენტირებული		ხარისხი		ხელმისაწვდომობა		ადმინისტრირება		შენიშვნა
		კი	არა	კი	არა	კი	არა	კი	არა	
იუსტიციის სამინისტრო	იუსტიციის სახლი	x		x		x		x		„იუსტიციის სახლი“ წარმოადგენს საქართველოს ინოვაციას. მისი კონცეფცია - „ყველაფერი ერთ სივრცეში“ გულისხმობს მოქალაქეთათვის სახელმწიფო სერვისების მიწოდებას სწრაფად და მარტივად, ერთი ფანჯრის პრინციპით. იგი ახორციელებს 300-ზე მეტი სერვისის მიწოდებას, დღეში 18 000-ზე მეტი ადამიანისთვის. საქართველოს მასშტაბით ფუნქციონირებს 13 იუსტიციის სახლი, რომლებიც მუშაობს ერთი ფანჯრის პრინციპის საფუძველზე.
	სერვისების განვითარების სააგენტო	x		x		x		x		წარმოადგენს ქვეყნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ორგანოს, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში, აქტიურად მუშაობს სახელმწიფო სერვისების განვითარებაზე, ხარისხის უზრუნველყოფასა და გაუმჯობესებაზე. მოცემულ ეტაპზე, სააგენტო საქართველოს ყველა საჯარო დაწესებულების განკარგულებაშია, რომელთაც არ აქვთ შესაძლებლობა ან ნაკლებად მიზანშეწონილად თვლიან განახორციელონ შიდა კვლევა ან სერვისების განვითარება ინოვაციური მართვის გზით.
	„საზოგადოებრივი ცენტრი“	x		x		x		x		საქართველოს მასშტაბით არსებობს 19 ცენტრი. საზოგადოებრივი ცენტრის მომხმარებლებს შუძლიათ ისარგებლონ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, საქართველოს ეროვნული არქივის, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, სოციალური მომსახურების სააგენტოს და შპს „მექანიზატორის“ მიერ გაწეული მომსახურებით, ასევე „მათიკომისა“ და „ლიბერთი ბანკის“ სერვისებით.
შინაგან საქმეთა სამინისტრო	112		x		x	x			x	ახდენს გადაუდებელი და საგანგებო სიტუაციების შესახებ შემოსული ინფორმაციის მიღებას, დამუშავებას, შეფასებას და შემდგომი რეაგირებისათვის შესაბამისი სამსახურებისათვის მიწოდებას. „112“ საქართველო კოორდინირებულად მუშაობს საქართველოს

										ტერიტორიაზე მოქმედ გადაუდებელი დახმარების სამ სხვადასხვა სამსახურთან, ესენია: პოლიცია, შსს სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო და სასწრაფო სამედიცინო დახმარება“.
	მომსახურების სააგენტო	x		x		x		x		უზრუნველყოფს მომსახურებას, რომელიც უკავშირდება ავტოსატრანსპორტო საშუალებების რეგისტრაციას, მართვის მოწოდებას, ცეცხლსასროლი იარაღის რეგისტრაციას და პირის ნასამართლეობასთან დაკავშირებულ ცნობებს. საქართველოს მასშტაბით, არსებობს შინაგან საქმეთა სამინისტროს 14 მომსახურების ცენტრი, ახლად აშენებულ, ბიზნეს ტიპის მომსახურების მიწოდების სივრცეში.
ფინანსთა სამინისტრო	შემოსავლების სააგენტო									„შემოსავლების სამსახური“ ახორციელებს მომსახურებას, რაც უკავშირდება საბაჟოს და გადასახადების გადახდას. საბაჟო მომსახურების მიწოდება ხორციელდება გაფორმების ეკონომიკური ზონების მეშვეობით. არსებობს რვა ასეთი ზონა, რომელიც მოქმედებს აეროპორტებში, საზღვაო პორტებსა და დედაქალაქში. ფინანსთა სამინისტროს სხვა სსიპს წარმოადგენს ფინანსთა სამინისტროს „მომსახურების სააგენტო“, რომელიც მართავს სახელმწიფო ქონებას. მან შეიმუშავა ვებ პორტალი <a href="http://www.education.ge">www.education.ge</a> <sup>39</sup> , რომელიც დაინტერესებულ პირებს აძლევს შესაძლებლობას, შეიძინონ სახელმწიფო ქონება ელექტრონული აუქციონებით.
	ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო									
ჯანდაცვის სამინისტრო	სოციალური მომსახურების სააგენტო	x			x		x		x	შეიმუშავეს 1. მინიმალურ მოთხოვნებს იმ მომსახურებებისთვის, რომელთა მიწოდებაც ხდება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ, 2. გასცემს სარგოს სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის, გასცემს სახელმწიფო პენსიებს, მართავს "საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამას" და სხვა. მოცემულ ეტაპზე, სოციალური მომსახურების სააგენტოს გააჩნია 57 ტერიტორიული ოფისი, მაგრამ ხორციელდება მათი რეორგანიზაციის პროცესი

<sup>39</sup> <https://www.eauction.ge/>

განათლების სამინისტრო	განათლების ხარისხის განვითარებ ის ცენტრი	x		x			x		x	გაცემს განათლებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა სახის სერტიფიკატებს. მათ არ გააჩნიათ ტერიტორიული ოფისები ან ელექტრონული მომსახურებები.
	შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი		x		x		x		x	NAEC ორგანიზებას უწევს სხვადასხვა სემინარებს, განათლების სფეროში სხვადასხვა გამოცდებს, როგორცაა ერთიანი ეროვნული გამოცდები, საერთო სამაგისტრო გამოცდები და მასწავლებელთა საგნის გამოცდები, ეროვნული სასწავლო ოლიმპიადები, სკოლის გამოსაშვები გამოცდები.

# სამოქმედო გეგმა 2015-2016

## 1. რეფორმის მართვა და კოორდინაცია

<i>ამოცანა 1.1 რეფორმის განხორციელების მართვა და კოორდინაცია სამ დონიანი საკოორდინაციო სტრუქტურის საშუალებით.</i>										
NO.	პასუხისმგებელი უწყება	აქტივობა	მოსალოდნელი შედეგი	შესრულების ვადა	პარტნიორი ორგანიზაცია	აქტივობის საერთო ღირებულება	ფინანსური რესურსები			შენიშვნები
							სახ. ბიუჯეტი	დონორების დაფინანსება	ფინანსური დეფიციტი	
1.1.1	მთავრობის ადმინისტრაცია	საჯარო მართვლობის რეფორმის საბჭოს ჩამოყალიბება	მთავრობის დადგენილება	2017		-	-	-	-	არ მოითხოვს დამატებით ხარჯებს
1.1.2	მთავრობის ადმინისტრაცია	მონიტორინგი, შეფასება, ანგარიშგება	წლიური და ნახევარწლიური შუალედური და საბოლოო შეფასების მომზადება	2020		36,000			36,000	

## 2. პოლიტიკის დაგეგმვა და კოორდინაცია

ამოცანა 2.1 საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება										
N0.	პასუხისმგებელი უწყება	აქტივობა	მოსალოდნელი შედეგი	შესრულების ვადა	პარტნიორი ორგანიზაცია	აქტივობის საერთო ღირებულება	ფინანსური რესურსები			შენიშვნები
							საბ. ბიუჯეტი	დონორების დაფინანსება	ფინანსური დეფიციტი	
2.1.1	მთავრობის ადმინისტრაცია	პოლიტიკის დაგეგმვასთან დაკავშირებული საკანონმდებლო რეგულაციის მომზადება და მთავრობისთვის წარდგენა	რეგულაცია მიღებულია	2017		-	-	-	-	არ მოითხოვს დამატებით ხარჯებს
2.1.2	მთავრობის ადმინისტრაცია	სამუშაო შეხვედრები სამინისტროებთან (2)	შეხვედრები ორგანიზებულია	2016		11,750	-	-	11,750	
2.1.3	მთავრობის ადმინისტრაცია	სამუშაო შეხვედრები დაინტერესებულ მხარეებთან (1+1)	შეხვედრები ორგანიზებულია	2016		4,000	-	-	4,000	
ამოცანა 2.2 .პოლიტიკის დაგეგმვის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება										
N0.	პასუხისმგებელი უწყება	აქტივობა	მოსალოდნელი შედეგი	შესრულების ვადა	პარტნიორი ორგანიზაცია	აქტივობის საერთო ღირებულება	ფინანსური რესურსები			შენიშვნები
							საბ. ბიუჯეტი	დონორების დაფინანსება	ფინანსური დეფიციტი	



2.2.1	მთავრობის ადმინისტრაცია	პოლიტიკის დაგეგმვის დოკუმენტების ტიპების და მათი სტრუქტურის განსაზღვრა	საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელებულია შესაბამის ნორმატიულ აქტებში	2016							არ მოითხოვს დამატებით ხარჯებს
2.2.2	მთავრობის ადმინისტრაცია	პოლიტიკის დაგეგმვის სახელმძღვანელოს შემუშავება	სახელმძღვანელო შემუშავებულია	2016		43,800	-	-	43,800		
2.2.3	მთავრობის ადმინისტრაცია	სამუშაო შეხვედრები სამინისტროებთან (2)	შეხვედრები ორგანიზებულია	2016		26,200	-	-	26,200		
2.2.4	მთავრობის ადმინისტრაცია	სამუშაო შეხვედრები დაინტერესებულ მხარეებთან (1+1)	შეხვედრები ორგანიზებულია	2016		26,200	-	-	4 700		
<b>ამოცანა 2.3 პოლიტიკის დაგეგმვას და კანონმდებლობის შემუშავებას შორის კავშირის უზრუნველყოფა</b>											
